...თველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 4 დეკემბერი, 1919 წ.

# ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 4 მანეთი. მეოთხე გვერდზე— 3 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 80 მანეთი. ნისიათ განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 277 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 277

...რამან ივლიანეს ძე არონიშიძე და გერასიმე გრიგოლის ძე პარო... ნაცვლი ღრმა მწუხარებით აუწყებენ მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ... ნოემბერს, დღის 1 საათზე უეცრად გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და ძვირფასი ყოფილი ხაზეინი

**დავით ივანეს ძე აღბაშოვი**

...ნაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. გამოსვენება ხუთშაბათს, ... დეკემბერს დილის 10 საათზე საკუთარ სახლიდან (ბებუთოვის ქ. ... 39) ჯიგრაშენის ეკლესიაში. დასაფლ. ხოჯევანქის სასაფლაოზე.

...ანის საქ. სოც. დემ. მ. პ. კოლექტივი ულრმესი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს

ამხ. **პოლიაქტორ ვასაძის**

გარდაცვალებას. (ნ. 1—1)

...ულ დათუთქულნი შვილები: კონსტანტინე, სევერიანე, იგანე, ვია... ...ულავი, მაშო, ზინობია, მატრონა, სიძე სოლომონ ოსიძე, და შვი... ...ის შვილები: ალექსანდრე, ეკატერინე, კაკო და თამარა აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს მათთვის დაუვიწყარ და ძვირფას

**ევსევდია ბეკოს ასული გაბერელიას**

...არდაცვალებას. დაკრძალვა ს. მარტვილში ხუთშაბათს, 4 დეკემბერს. (3174—1—1)

...იქტორ თევზაიას ოჯახობა აუწყებს ნაცნობ მეგობრებს ძვირფასი ბიძაშვილის და ამხანაგის სტუდენტ

**ლუკა თევზაიას**

...არდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე 5 საათზე. ველიკო კნიაზის ქუჩა, № 19. (3175—1—1)

...ათს, 15 გიორგობისთვეს (ახ. სტ.) ს. ჩხენისში გადახდილ იქნა წირ... ...და პანაშვიდი წლის თავზე ილია (ილიკო) ლაზარეს ძე მიქაძის სუ... ...ს მოსახსენებლად, რის გამო ღრმა მადლობას სწირავენ ყველა ნათე... ...თ და ნაცნობთ, რომელნიც წლის თავს დაესწრენ და ანუგეშეს მწა... ...ი გულ დათუთქული მეუღლე რებეკა ბესარიონის ასული, მშობლები ...არე და ქრისტინე, ძები: იაკინთე და რუბენ, რძლები: ნინა და ანასტასია, და ეფროსინე და სიძე სერგო გოგოლაშვილები. (3176—1—1)

## ...ანონსი

კაფე

**„დარბაზი“**

(ყოფილი „ძმური ნუგეში“)

...მ დღეებში გაიხსნება. (3181—1—1)

...ალხო სიმღერა გალობის კურსები **მიხეილ კავსაძისა**

...რონცოვთან, მაიჩურაძის სამკითხველოსთან, („ბო მონდი“), სამშაბათით და პარასკ. საღ. 5—8 საათამდე. (3177—3—1)

**რაჭის სამაზრო ერობის გამგეობა**

იწვევს სამსახურში

...უბნის ექიმს, 2 ექიმის თანაშემწეს და 2 ბებია ქალს სასოფლო საექიმო პუნქტებზე.

...ჯამაგირი 3500 მან., ექიმის თანაშემწისა—2000 მ., ბებია ქალის 1500 მ. ...ისამართი: ონი, რაჭის სამაზრო ერობის გამგეობას. (3—2)

**ამიერ-კავკასიის ბანკი**

...ცხადებს, რომ ამა წლის 28 გიორგობისთვეს გაიხსნა ბათუმში მისი

**განყოფილება,**

რომელიც ყველა საბანკო ოპერაციებს აწარმოებს. (ნ. 2—1)

**...თფილისის მოსამსახურეთა და მომუშავეთა საყურადღებოდ**

...ასურსათო განყოფილება თფილისის ქალაქის გამგეობისა, თანახმად ...ა და მომარაგების სამინისტროს დავალებისა, შეუდგა სასურსათო წიგ... ...და პურის ბარათების დარიგებას მომუშავეთა და მოსამსახურეთათვის, ...ებითაც მიეცემათ სურსათი სახელმწიფო მომარაგების ფონდიდან.

...დაწესებულებანი, ქარხნები და სამრეწველოები მოვალენი არიან სასწრა... ...წარმოადგინონ სასურსათო განყოფილებაში (დამფუძნებელ კრების და ...ქუჩის კუთხე) სია მოსამსახურეთა და მომუშავეთა და მათი ოჯახური ...ენლობისა (ცალკე ჩამოთვლილ უნდა იყოს მათი სახელი და გვარი), ...პასპორტები ან პიროვნების სხვა მოწმობები, ბინის წიგნები და აგრეთვე ...ლფავიტო ბარათები, შედგენილი ოჯახის თვითეულ წევრზედ ცალკე.

შენიშვნა: ოჯახის წევრებად ითვლებიან: დედ მამა შრომის უნარს მოკლებულნი, ძმები 17 წლამდე, საზრუნავი დები და შვილები.

...ალფავიტო ბარათები მოთხოვნილებისთანავე ეძლევათ დაწესებულე... ...და სამრეწველოებს სასურსათო განყოფილებიდან 15 დეკემბრამდე ა/წ. ...წიგნაკები და ბარათები, დამზადებული სიების მიხედვით, მიეცემათ სამ... ...ოების და დაწესებულებათა წარმომადგენლებს მომუშავეთა და მოსამ... ...ურეთათვის დასარიგებლად.

...ქმედების დაგვარად მოწყობილი იქნება ბარათების და წიგნაკების დარიგება ქარხანა სამრეწველოებში ადგილობრივად.

...სიები შემოწმებულ უნდა იქნან სამრეწველოების და დაწესებულებათა ...ების მიერ და აგრეთვე პროფესიონალურ კავშირის გამგეობის მიერ.

...ყველა ყალბი ცნობების მომცემნი სურსათის ხვედრის ზედმეტად მიღე... ...ის მკაცრად დაისჯებიან.

(ნ. 2—1) მუშათა მომარაგების რწმუნებული.

ჟურნალი

**„ცისარტყელა“**

გამოვა 20 დეკემბერს (პირველი ნომერი)

ვსთხოვთ მწერლებს დააჩქარონ მასალების გამოგზავნა, პირველი ნომრისთვის მასალები მიიღება 6 დეკემბრამდის. მისამართი: ელისაბედის ქ. № 200, ოკ. გზის ცენტრ. კულტურულ განმანათლებელ კომისიას. ჟურნალ „ცისარტყელა“ სათვის.

(უფ. 3—2) სარედაქციო კოლეგია.

## პარტიული და სახელმწიფოებრივი მუშაობა

II

გუშინ ვწერდით, რომ სახელმწიფოებრივი მუშაობა მმართველი პარტიის სიუსტე სიძლიერეზე დიდ გავლენას ახდენს; ამავე დროს უდავოთ უნდა ჩაითვალოს ის დებულება, რომ ასეთი მოღვაწეობა სავსებით ვერას დროს ვერ ამოსწურავს პარტიულ საქმიანობასა და მოვალეობას. კანცელარიებმა რომ პარტიული აპარატის მაგიერობა იკისრონ, ეს სახელმწიფოსაც და მმართველ პარტიასაც დიდ ზიანს მიაყენებს. მაგრამ ამავე დროს არა ნაკლებ მაზარალებელი და დამღუპველი იქნება, როგორც სახელმწიფოსთვის, ისე თვით პარტიისათვის, თუ პარტიულმა ორგანიზაციებმა მთავრობის დაწესებულებათა ფუნქციები მიითვისეს. ხოლო ასეთ მოვლენებს ჩვენს ცხოვრებაში ადგილი აქვს. რომელიმე პარტიული კოლექტივი, ან კომიტეტი ხშირათ ერევა ამა თუ იმ დაწესებულების უფლება - მოვალეობაში. პარტიული ორგანიზაცია ხან ადმინისტრაციის უფროსის როლს ასრულებს და ბრძანებას იძლევა ამა თუ იმ პირის დაპატიმრების, ან განთავისუფლების შესახებ. გამოდის გამომძიებლის როლში. პოლიტიკურ დირექტივას კი არა, გარკვეულ კონკრეტიულ განკარგულებას უთვლის ერობის გამგეობას; ანდა რამდენიმე სხდომას ანდომებს მაგალითად, ასეთ კითხვის გარჩევას—რატომ ესა თუ ის მოხელე მოიწვია ამა თუ იმ დაწესებულების ხელმძღვანელმა და სხვა ამგვარი. ერთი სიტყვით ხშირათ პარტიული ორგანიზაცია იჭრება სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა კომპეტენციაში და მით ამ უკანასკნელთა მუშაობას აფერხებს და ხელს უცარავს. საერთოდ საქმისთვის ბევრად უფრო სასარგებლოა ესა თუ ის დაწესებულება შეცდეს და თავის შეცდომა თვითონვე გამოასწოროს, ვიდრე მის მაგიერ სხვამ ასწოროს. გადაჭრით და წინდაწინვე შეიძლება ითქვას, რომ ცხრა მეათედ შემთხვევაში დაწესებულება უფრო მართალი იქნება ამა თუ იმ სადაო კითხვაში, ვიდრე პარტიული ორგანიზაცია. დაწესებულებისთვის მართვა-გამგეობა, ყოველდღიური ხაადმინისტრაციო მუშაობა, მუდმივი ხელობა და მოვალეობაა, მისი თვალთახედვის ისარი პირველყოვლისა სახელმწიფოებრივია, და რასაკვირველია თავის მოვალეობას ის უფრო სწორეთ შეასრულებს, მისი განკარგულება უფრო მიზანს შესაფერი იქნება, ვიდრე რომელიმე პარტიული ორგანიზაციის, რომელიც ამ საქმეში დილეტანტია, და მხოლოდ ამა თუ იმ შემთხვევის გამო ეცნობა საქმის ვითარებას. პარტია არის პოლიტიკური ორგანიზაცია, ის არ უნდა ჩაეფლოს მმართველობის წვრილმან კითხვებში. მან თუ თავის მოქმედების საგნათ საადმინისტრაციო ვერმიშელი გაიხადა, ის დახურდავდება, დაწვრილმანდება, ზევიდან ძირს დაეშვება, პოლიტიკურ ორგანიზაციის მაგიერ საადმინისტრაციო კანცელარიათ გადაიქცევა. იმ სახელმწიფო საქმეს, რომელშიაც ის წარამარა ერევა, ვერ მოაგვარებს და თავსაც წაიხდენს. ასეთი ორგანიზაცია ალარც პოლიტიკური პარტია იქნება და არც სახელმწიფოებრივი აპარატი.

რასაკვირველია, ყველაფერი ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს პარტია და მისი ორგანიზაციები არ უნდა გაერიონ ყოველდღიურ საკითხებში და არ დაეხმარონ მთავრობას მათ გადაჭრასა და მოგვარებაში. პარტია რომ ასეთ მიმდინარე საკითხებს ჩამოშორდეს, ის ცოცხალი პარტია კი ალარ იქნება. პარტია უნდა ჩაერიოს ყველა მიმდინარე საქმეებში კი არა, არამედ საკითხებში, არა ადმინისტრატიულ მოქმედებაში, არამედ პოლიტიკურ ხაზის გამომუშავება გატარებაში. პარტიული ორგანიზაცია პასუხისმგებელია იმ ამხანაგების მოქმედებაში, რომელნიც მან ამა თუ იმ დაწესებულებაში წარგზავნა. და ამიტომ ის მუდამ თავს უნდა დაფარფატებდეს ადგილობრივ დაწესებულებებს, თვალყურს ადევნებდეს მის მოქმედებას, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ მუდმივ დაიუჯათა და უფროსათ დაუდგეს სახელმწიფო დაწესებულებებს; მისი მოვალეობაა პოლიტიკური კონტროლი და ხელმძღვანელობა გაუწიოს და არა ყოველდღიური ადმინისტრატიული. ხოლო ასეთ კონტროლისათვისაც პარტიამ უნდა იაროს სახელმწიფოებრივი და არა ამხანაგური გზით. დღევანდელი ჩვენი სახელმწიფოებრივი აპარატი უმეტესათ დემოკრატიულ პრინციპზე აშენებული. დამფუძნებელი კრების, ერობის და ქალაქის თვითმართველობის გარეშე არ არის არავითარი უფლება. ყველა ამ დაწესებულებებში არის სხვადასხვა პოლიტიკური ფრაქციები, მათ შორის ჩვენიც, და აი ამ ფრაქციებში არის იარაღი და ასპარეზი, საიდანაც პარტიამ პოლიტიკური ხელმძღვანელობა და კონტროლი უნდა გაუწიოს დაწესებულებებს. პარტიულ ორგანიზაციას შეუძლია ფრაქციაში წარმომადგენელი იყოლიოს და აქედან მოახდინოს სასურველი გავლენა. კომიტეტის მანდატით სახელმწიფო დაწესებულებაში სარევიზიო საკონტროლოთ შესვლა არ შეიძლება.

სახელმწიფოს მმართველი დაწესებულებანი და სახელმწიფოში მმართველი პარტია ერთი და იგივე არ არის და არც უნდა იქნეს. თუ სახელმწიფო დაწესებულებათა კანცელარიას არ შეუძლია პარტიის მაგიერობა გასწიოს, ამგვარათვე შეუწყნარებელია პარტიის გასახელმწიფოება.

## კომუნისტების მუშაობა

I

როცა ბოლშევიკების უკანასკნელი გამოსვლა მოხდა, შინაგან საქმეთა მინისტრმა ნ. რამიშვილმა დამფუძნებელ კრებაში, სხვათა შორის, განაცხადა: ბოლშევიკებს ისეთი ფართე გეგმა ჰქონდათ, ისეთი დიდი მზადება იყო, რომ დროზე არ ყოფილიყო მიღებული სათანადო ზომები, რესპუბლიკა დიდ განსაცდელში ჩავარდებოდა. მაშინ ე. წ. ოპოზიციამ ამბოხებას ოპერეტა უწოდა და უკბილო ირონიით შეეცადა მინისტრის განცხადების გაბათილებას.

ჩვენ მაშინაც გვჯეროდა და ვგრძნობდით კომუნისტების ავანტიურის სერიოზულობას, მარა საკმაო საბუთები, საბუთები უტყუარი იმდენი არ მოგვეპოვებოდა, რომ ურწმუნო ოპოზიცია დაგვეჯერებია. რომ მათ შეეგნო მომენტის სიმკაცრე და უადგილო ოპოზიციის მაგიერ, მთავრობის მხარის დაჭერა დაესახა მიზნათ და სამოქმედოთ.

დღეს ჩვენს განკარგულებაშია მეტად საყურადღებო დოკუმენტები, რომლებიც ნათელს ფენენ მომხდარ ამბოხებას, ამჟღავნებენ მისი ინიციატორების ჯოჯოხეთურ მიზნებს და საბოლოვოთ ფარდას ხდიან ჩვენი რესპუბლიკის მტრების იდუმალ ზრახვებს.

ამ ხანათ შესაძლებელია მოგროვილი დოკუმენტების მხოლოდ ნაწილის გამოქვეყნება, მარა კომუნისტების მოღვაწეობის ნათელ საყოფათ ესეც საკმარისია.

ამ დოკუმენტებში, პირველ ყოვლისა ყურადღებას იპყრობს დახარჯული ფულის რაოდენობა. ოქმების თანახმად 29 ივლისიდან 31 ოქტომბრამდე დახარჯავთ 7,367,000 მან. ხარჯების ხასიათი: ჯამაგირები—პასუხისმგებელ პროპაგანდისტებს თვეში 2000—3000 მანეთამდე. დახმარება 300—10,000 მანეთამდე თვითეულს. ტუსაღების დიეტა დღიურათ—25 მან. დაჭერილების ოჯახებს, რომელთა დახმარება ოქტომბრიდან გაუდიდებიათ 2500 მან. სამგზავრო—დღიურათ 200 მან. ორგანიზაციებს: ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტს პირველად—150,000 მან. მეორეჯერ—200,000 მან. გურიას—75,000 მან. აქვე სწერენ, რომ ეს ფულები გადასცვალონ ადგილობრივ ბონებზე. გამოსვლების მოწყობა: დუშეთში—30,000 მან., გორი—50,000 მან. და სხვ. ყველაზე მეტი ეძლეოდა სამხედრო-ტეხნიკურ კომისიას, რომელსაც ერთხელ წაუღია ასი ათასი მანეთი, მეორეხელ—200,000 მან. ასე რამდენჯერმე. სპეციალური მიზნებისათვის (ალბათ ტერორზე. განი) 150,000 მან. გამომცემლობა—75,000 მან. ეძლეოდა აგრეთვე დიდი თანხები ზოგიერთ პასუხისმგებელ პირებს ჟუნგარიშოთ.

ეს 7 ნახევარი მილიონი დახარჯულია რაღაც 2 თვის განმავლობაში. წინანდელი ხარჯების შესახებ დოკუმენტები არ არის, მარა არის წერილები ბეჭედ დასმული, რომლიდანაც სჩანს თუ რამდენი ფული მიუღია საოლქო კომიტეტს უკანასკნელ თვეებში. ერთი წერილით ატყობინებენ, რომ ნავით გამოუგზავნიათ 3 მილიონი. მეორეთი სწერენ: ამხანაგ X მოაქვს ათი მილიონი. იმედი მაქვს ამ დღეებში კიდევ გამოვგზავნით ოც მილიონს. აი ეს მილიონები იყო, რომლითაც ფიქრობდენ ბატონი ბოლშევიკები თავის ბატონობის ყიდვას ჩვენში.

გაცემული ფულები იწერებოდა დაბეჭდილ ჩეკებში, რომელიც დაყოფილია შემდეგ გრაფებათ: ვის მიეცა, რისთვის, რამდენი და წამღების ხელის მოწერა. როგორც ერთი ოქმიდან სჩანს რუსეთის ფულებით კომიტეტი სპეკულიაციასაც ეწეოდა: გადახურდავებულ „ნიკოლაევის“ 300,000 მანეთში აუღია 600,000 მანეთი. ამავე ოქმშია ჩაწერილი ტუსაღების საჩივარი, რომლებიც მოითხოვენ დიეტის გადიდებას. კომიტეტი ადგენს: უარი ეთქვას მიმატებაზე, რადგან ციხეში სრულიად საკმარისია დღეში 25 მანეთიო.

აქვე უნდა აღინიშნოს კომუნისტების საოლქო კომიტეტის დამოკიდებულება რუსულ „სოციალ-დემოკრატთან“, რომელსაც რედაქტორობდა ბ. არშაკ ზურაბოვი და რომელიც გამოდიოდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ფირმაში. ამოჩენილი დოკუმენტიდან ნათლათ სჩანს, რომ ეს გაზეთი გამოდიოდა კომუნისტების ფულით. გაზეთის გამოცემა სხვა პარტიის ფირმით და ესეც შეგნებულათ—ეს ისეთი პადლოგია, რომელიც იშვიათია პრესის ისტორიაში. შინაგან საქმეთა მინისტრს ქონდა ზოგიერთი ცნობა ამის შესახებ; ამან გამოიწვია გაზეთის დახურვა და რედაქტორ თანამშრომლების გადასახლება. ამის შესახებ სომეხთა ეროვნულ საბჭოს კომიტეტმა მრისხანე პროტესტი გამოიტანა. ბ. ზურაბოვი უცოდველ კრავათ აღიარა და მისი დაბრუნება მოითხოვა. ასეთი პროტესტი ჩვენმა რედაქციამაც მიიღო, მაგრამ ის არ დაბეჭდა. ამოჩენილი დოკუმენტები ნათლათ ამტკიცებენ თუ რამდენათ უცოდველი იყო გაზეთი „სოციალ-დემოკრატი“ და მისი ჯგუფი ზურაბოვის მეთაურობით.

ბ. ზურაბოვს „სოციალ დემოკრატისათვის“ 7 აგვისტოდან 31 ოქტომბრამდე რამდენიმე ორდერით მიუღია 22 000 მანეთი. ხოლო 7 ნოემბერს საოლქო კომიტეტის პლენუმს განუხილავს ზურაბოვის განცხადება და დაუდგენია: გადიდეს დახმარება კვირაში ექვს ათას მანეთამდე და მიეცეს ქაღალდი.

ასე აფასებენ კომუნისტები „სოციალ-დემოკრატს“, ის თავის ფულით სცემდა მას სხვა პარტიის ფირმით და ამას მეთაურობდა ბ ზურაბოვი და ფირუმოვი!

ვნახოთ რას იტყვის ახლა ეროვნული საბჭოს კომიტეტი?

როგორი იყო გეგმა და წინასწარი მუშაობა კომუნისტებისა?

განი.

## პრესა

„აშხატავორი“ (№ 257) შემდეგს სწერს:

„საქართველოს ოფიციალური ცნობა მიუღია, რომ არგენტინის რესპუბლიკამ იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. მართალია, არგენტინა პატარა სახელმწიფოა და არ აქვს დიდი მნიშვნელობა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა საერთაშორისო მდგომარეობა დიდათ გაუმჯობესდებოდა, ნეიტრალური სახელმწიფონი რომ შესძლებდენ თავი უფლათ გამოეთქვათ თავიანთი ნება. საუბედუროთ, ნეიტრალური სახელმწიფონი ელიან, თუ რას იტყვიან ძლიერნი ამა ქვეყნისა. პირველი სახელმწიფო, რომელიც არ ელოდება დიდ სახელმწიფოებს—არგენტინაა. უკეთუ მხედველობაში მივიღებთ თვით მოკავშირე სახელმწიფოთა აზრის სხვადასხვაობას ჩვენი ქვეყნის მომავლის შესახებ, რომ ისინი ფიქრობენ ვერსალის კონფერენციის დაუდასტურებლათ იცნონ ამიერკავკასიის რესპუბლიკები, მაშინ ჩვენთვის ნათელი იქნება, რომ არგენტინის ნაბიჯს შეიძლება მიჰყვენ აგრეთვე სხვა ნეიტრალური სახელმწიფოებიც. ამის შემდეგ დაუჯერებელი არ არის, რომ იტალიასაც განზრახვა აქვს იცნას ამიერკავკასიის რესპუბლიკებიო. ასე რომ, მოკავშირე სახელმწიფოებს ერთი და რჩებათ: დააჩქარონ ჩვენი საკითხის გარჩევა.

„საკითხის დადებითად გადაჭრაზე დიდ გავლენას მოახდენს ამიერ კავკასიის სამი რესპუბლიკის თანხმობით მოქმედება. რამდენადაც მჭიდროთ შეკავშირებული გამოვლენ ჩვენი წარმომადგენელნი, იმდენათ ადვილათ და მალე გამოირკვევა ჩვენი უფლებრივი მდგომარეობა. ამ მიმართულებით უნდა იმუშაონ ჩვენმა წარმომადგენლებმა საზღვარ გარეთ“.

როგორც ხედავთ, „აშხატავორი“ საზღვარ გარეთ მყოფი ამიერ-კავკასიის წარმომადგენლების შეთანხმებით მუშაობას ქადაგებს, თითქოს არის იმის საბუთი, რომ „დაშნაკცუტიუნი ძველებურად „რუეში ალარ იცქირება“.

„უმჯობესია გვიან, ვიდრე არას დროს“—აი რა შეგვიძლია ვსთქვათ!..

## დამფუძნებელი კრება

2 დეკემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს ს. მდივანი.

იგ. გომართელის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი დეკრეტისა: 1) სახელმწიფო დაწესებულებათა მუშა მოსამსახურეთა ჯამაგირის გადიდების შესახებ; 2) გზათა უწყების მოსამსახურეთა, ხელოსნებისა და მუშებისათვის ჯამაგირის მომატების შესახებ; 3) რესპუბლიკის ლაშქრის სამსახურთა ჯამაგირის გადიდების შესახებ.

**მონოპოლიის გამოცხადება მატყლზე და აბრეშუმის პარკზე.**

მომხსენებელი ვიქ. თევზაია: მთავრობამ მიზნათ დაისახა უმთავრეს სავალუტო საქონელზე გამოცხადებული ყოფილიყო მონოპოლია. დამფუძნებელმა კრებამ უკვე მიიღო კანონი თამბაქოზე და შავ ქვაზე მონოპოლიის გამოცხადების შესახებ. იმავე საფუძველზე მთავრობა მოითხოვს მონოპოლიის გამოცხადებას მატყლზე და აბრეშუმის პარკზე. უმთავრესი მიზანი ამ მონოპოლიისა ის არის, რომ ამ ნედლ მასალას დიდი მნიშვნელობა და ბაზარი აქვს ევროპაში და დღევანდელ პირობებში მხოლოდ ამით შეგვიძლია შემოვიტანოთ ის საქონელი, რომელიც ჩვენს ხალხს ესაჭიროება. თუ კერძო ვაჭრებმა გაიტანეს ეს სავალუტო საქონელი, მაშინ ისინი შემოიტანენ ისეთ საქონელს, რომელიც ჩვენს ხალხს ნაკლებათ ესაჭიროება. თუ მთავრობას ხელში ექნა მონოპოლია, მაშინ ის იმ საგნებს შემოიტანს, რომელიც ჭეშმარიტათ ხალხს სჭირია. მაგრამ მონოპოლიას მაშინ აქვს მხოლოდ აზრი, თუ სამონოპოლიო საქონელზე მტკიცე ფასები იქნება დაწესებული. მტკიცე ფასების დაწესების დროს მთავრობამ არ უნდა იხელმძღვანელოს ფისკალური მიზნებით. როგორც სჩანს

# დღეს

უმაღლესმა საბჭომ უნგრეთის მთავრობას დელეგატების გაგზავნა მოსთხოვა საზავო პირობების შესახებ მოსალაპარაკებლათ. საბჭო წინადადებას აძლევს ესტონეთის მთავრობას, რათა ის იუდენიჩს შეუთანხმდეს.

იტალიური პრესის ცნობით ნიტტისთან საუბრის გამოქვეყნების შემდეგ იტალიის ფულის კურსი ამერიკის ბირჟაზე ძლიერ დაეცა.

მუნიციპალური არჩევნები მთელ საფრანგეთში მშვიდობიანათ ჩატარდა. ძალთა განწყობილება დიდათ არ შეცვლილა.

დენიკინის შტაბის ცნობით მოხალისეთა ჯარი ვოლოჩისკს მიუახლოვდა და პოლონეთის ჯართან კავშირი აღადგინა.

ბოლშევიკების ცნობით ბელგიის სოციალისტურმა პარტიებმა მთავრობაში მონაწილეობის მიღებაზე თანხმობა განაცხადეს; იაპონიის სატახტო ქალაქ ტოკიოში მიკადოს დაბადების დღეს საგარეო საქმეთა სამინისტროში ყუმბარა შეაგდეს; ტუაპსე და მაიკოპი მწვანე არმიელების ხელშია; ჰააზეზე თავდასხმა სამხედრო კონტრ რევოლიუციონურმა ორგანიზაციამ მოაწყო.

მთავრობის განმარტებიდან, მას არ უნდა იხელმძღვანელოს ფისკალური მიზნებით. ის მოითხოვს მტკიცე ფასების დასაწესებლათ შეიქმნეს ორგანო, რომელშიაც შევლენ: მთავრობის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და მწარმოებელთა წარმომადგენელნი. ამ ორგანომ უნდა დააწესოს ისეთი ფასები, რომელიც წარმოების წინსვლას არ შეუშლის ხელს. დამზადებულ საქონელს დეკრეტის ძალით მთავრობა ან თითონ გაიტანს, რაც უფრო სასურველია, ან და გაიტანს საზოგადოებრივ ორგანიზაციების და კერძო დაწესებულებების საშუალებით ნაწილობრივ ან სრულებით. ამ საქონლის დასამზადებლათ საჭიროა თანხა და მთავრობა მოითხოვს ამისათვის 130 მილ. მანეთს და მე კომისიის სახელით გთხოვთ ეს დაადასტუროთ.

ილ. ნუცუბიძე (ს. რ.) აღნიშნავს, რომ სოც. რევოლიუციონერთა ფრაქციას მონოპოლიის შემოღება პრინციპიალურათ მისაღებათ მიაჩნია, მაგრამ ამ დეკრეტში არ არის სავსებით დაცული მონოპოლიის სისტემა, მაგ. მესამე მუხლში სწერია, რომ მთავრობას უფლება აქვს დამზადებულთ საქონლის გაზიდვა საზღვარ-გარეთ მიანდოს კერძო დაწესებულებასო. ამიტომ ჩვენი ფრაქცია მოითხოვს, რომ ეს დეკრეტი დაუბრუნდეს კომისიას გადასამუშავებლათ.

ალ. ასათიანი. (ნ. დ.) სოციალისტები სიხარულით ეგებებით ამ დეკრეტს, მე კი სასოწარკვეთილებით. მთავრობამ ზეპირათ წარმოგვიდგინა დეკრეტი, რომელსაც არ ახლავს დასაბუთებული განმარტება. არ არის ნაჩვენები და გათვალისწინებული გეგმა და ის შედეგები, რომელიც ამ ნაბიჯს მოყვება. მონოპოლიის სისტემის შემოღებას ი. ნუცუბიძე და სხვები დიდ ნაბიჯათ სთვლიან ეკონომიურ ცხოვრებაში (ი. ნუცუბიძე: სპეკულიანტებს მაინც ჩამოვაშორდებით!) პირიქით, სპეკულიანტებს უვარდებით ხელში, (ცინცაძე გრ. ადგილიდან: აბა რას გვედავებით?) ჩვენ არ გვინდა, რომ თქვენ სპეკულიანტებს ჩაუვარდეთ ხელში. (ვ. ჯუღელი: ვისი იდეოლოგი ხართ თქვენ?) (სოც.-დემ სკამებიდან: „ნორჩი ბურჟუაზიის") დიახ, ნორჩი ბურჟუაზიის. ასეთი ნორჩი ბურჟუაზია მთელი საქართველოა.

შემდეგ ორატორი ილაშქრებს დეკრეტის ზოგიერთ მუხლის წინააღმდეგ და ასკვნის, რომ ამ სახით წარმოდგენილი დეკრეტის მიღება ნაც.-დემოკ. ფრაქციას შეუძლებლათ მიაჩნია.

კ. კანდელაკი (ვაჭრობა-მრეწველობის და ფინანსთა მინისტრი) ამტკიცებს, რომ მთავრობას არაფერი აქვს წინააღმდეგი იმ პრინციპისა, რომელიც მთავრობას ავალებს დამზადებული საქონლის უშუალოთ თავისი საშუალებებით გატანას, მაგრამ დღევანდელი კონკრეტიული პირობები — ტონაჟის უქონლობა (გემები არ გვაქვს) ხშირათ ხელს გვიშლის ამ ჩვენი და თქვენი სურვილის განხორციელებაში. მთავრობამ მიიღო ზომები ტონაჟის შესაძენათ, მან გადასდო სავალიუტო საქონლის ნაწილი ამ საქმისათვის და ვიმედოვნებთ, რომ ახლო მომავალში საკუთარი გემები გვეყოლება. მეორე —აქ ა. ასათიანმა გვისაყვედურა, რომ გეგმა არ წარმოგვიდგენეს, განმარტება მოკლე იყოვო და სხვ. მე მგონია, რომ განმარტების სიდიდეში არ არის საქმე, დიდი აზრი შეიძლება მოკლეთ ითქვას. რაც შეეხება გეგმას, ჩვენი გეგმა ყველასათვის აშკარაა, თქვენს წინაშე რამდენიმეჯერ წამოგვიყენებია ჩვენ ეს გეგმა; რაც შეეხება ამ მონოპოლიის წესს, თუ როგორ იქნება ის გატარებული, ამაზე დეკრეტში ყველაფერია ნათქვამი. იქ სწერია, რომ მთავრობა სასურველათ სცნობს თვითონ გაიტანოს დამზადებული საქონელი, მაგრამ, თუ თვითონ ვერ შესძლო, მაშინ კერძო დაწესებულებებს და პირებს დაიხმარიებს.

ჩვენ წვრილი მესაკუთრეებისათვის არ ჩამოგვირთმევია საქონელი, ჩვენ ვართმევთ მხოლოდ შემსყიდველებს, იმათაც ბაზრის ფასებში. შემდეგ მინისტრი აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ შემსყიდველები მთავრობას არ აძლევენ საქონელს და სხვებს, კერძო პირებს უფრო დაკლებულ ფასებში აძლევენ. ჩვენ ამისი აუარებელი საბუთები გვაქვს მაგალითისათვის მოვიყვან ერთს. ჩვენ ვაძლევდით ფუთ პარკში 1800 მან., შემსყიდველებმა ჩვენ არ მოგვცეს და კერძო პირს 1600 მანეთად მისცეს. ჩვენ რომ თავი დაგვეხწია ასეთი მდგომარეობისათვის, კოოპერატივებს გადავეცით 10 მილიონი მანეთი სავალიუტო საქონლის შესასყიდათ ბაზრის ფასებში.

განზრახული გვაქვს გაისად ნაწილი სამუშაო იარაღისა (მეთამბაქოებისათვის) და თესლი (მეაბრეშუმეთათვის) შევიძინოთ და მათ მივაწოდოთ. რაც შეეხება სასურსათო საქმისათვის წინეთ გაღებულ თანხებს, უნდა მოგახსენოთ, რომ ყველა ეს ფულები საქონელშია დაბანდებული და ოპერაცია ჯერ არ არის დასრულებული. ჩვენ მოვითხოვეთ მატყლის და აბრეშუმის პარკის დასამზადებლათ 130 მილ. მანეთი. წინეთ გამოთხოვნილი თანხა თამბაქოს დასამზადებლათ არ იყო იმ საქმისათვის საკმარისი, მაგრამ ჩვენ ახლაც და მაშინაც უწევდით ანგარიშს ხაზინის მდგომარეობას და ამიტომ ნაწილ ნაწილათ ვითხოვდი თანხებს. ეს 130 მილიონი მანეთი აუცილებლათ საჭიროა ამ საგანზე მონოპოლიის განსახორციელებლათ და ჩვენ ვსთხოვთ დამფუძნებელ კრებას რომ ეს დეკრეტი დაადასტუროს.

მომხსენებელი ბ. თევზაია. ნაც. დემოკრატები პრიციპიალურათ ყოველთვის თანახმა არიან მონოპოლიის, მაგრამ კონკრეტიულათ კი ყოველთვის წინააღმდეგი: როდესაც კონკრეტიულათ თამბაქოს, მატყლის ან სხვა რომელიმე საქონელზე ვაცხადებთ მონოპოლიას, ისნი ამის წინააღმდეგ ილაშქრებენ. მათ მონოპოლია სოციალისტური ზომა ჰგონიათ. მომხსენებელი ამტკიცებს, რომ მონოპოლია არ არის სოციალისტური ზომა, ის საერთო ზომაა, მას მიმართავენ ყველა სახელმწიფოები, განურჩევლათ წყობილების ფორმისა.

აქ ასათიანი ამბობდა, რომ ეს მონოპოლია კი არა, რეკვიზიცია არისო. ეს მართალი არ არის. მონოპოლიის დროს საქონელში ფასებს აძლევენ ღირებულების მიხედვით. ის ორგანო, რომელმაც უნდა დააწესოს მტკიცე ფასები, სრულიად უზრუნველყოფს საქონელს რეკვიზიციისაგან. მომხსენებელი უპასუხებს აგრეთვე ი. ნუცუბიძეს და ასკვნის, რომ დღევანდელ კონკრეტიულ პირობებში მთავრობა იძულებულია კერძო დაწესებულებები და პირები მოიშველიოს ამ საქმეში. სურვილი სხვაა და შესაძლებლობა სხვა. აი სწორედ ეს დეკრეტი შედგენილია ისე, რომ მისი განხორციელება შეიძლება.

მუხლობრივი განხილვის შემდეგ დეკრეტი მიღებულ იქნა შემდეგი შესწორებით: მონოპოლია ვრცელდება აგრეთვე აბრეშუმის ყაჭზე და ძაფზე.

**დეკრეტი ტყის მფლობელობისა და სარგებლობის შესახებ.**

მომხსენებელი კ. ნინიძე აღნიშნავს, რომ აგრარულ კომისიის მიერ წარმოდგენილი დეკრეტი შეიცავს განმარტებას და შევსებას აგრარული კანონებისა, რომელიც გამოცემული იყო. 16 დეკემბერს, 1917 წ. (ამიერ კავკასიის კომისარიატის მიერ) და 7 მარტს 1918 წ. ამიერ კავკასიის სეიმის მიერ. ყველა ეს განმარტებები და შევსება კანონისა გამოწვეულია მიღებული პრაქტიკით, ცხოვრებით. არის ისეთი ტყეები სოფლათ, რომელსაც არა აქვს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, მაგალ. შიგ სოფლებში, ან მათ გარეთ უბნა უბნათ მდებარე ტყეები, ბუჩქნარ, ჩიგვნარ-ჯაგნარები ნორმის ზევით უნდა ჩაირიცხოს სათემო კუთვნილებათ. არის ისეთი ტყეებიც, რომელიც მთელ სოფელს ეკუთვნის, მაგრამ მას აქვს სახელმწიფო მნიშვნელობა და უნდა გადაეცეს სახელმწიფოს, მაშინ ჩვენ ანგარიშს უწევთ მცხოვრებლებს და ამ დეკრეტით მათ უფლებას ვაძლევთ ისარგებლონ საჭირო ხეტყის მასალით უფასოთ განსაზღვრულ ნორმათ. დეკრეტი კი ასეთია:

**დეკრეტის ტექსტი.**

„ამიერ კავკასიის 1917 წლის 16 დეკემბრის დეკრეტის მე 5 ე მუხლის და ამიერ კავკასიის სეიმის 1918 წ. 7 მარტის კანონის მე 2 ე მუხლის განსამარტებლად და შესავსებათ დაწესდეს შემდეგი:

1) იმ პირს, რომელსაც ტყის გარდა სხვა მიწა ან სულ არა აქვს, ან ნორმაზე ნაკლები აქვს, საკუთარ ტყიდან უნდა დაეტოვოს იმდენი, რომ სხვა მიწასთან ერთად ნორმამდე შეუსრულდეს.

**შენიშვნა 1.** ტყე, რომელ რაიონშიაც არ უნდა მდებარეობდეს, ჩაირიცხება პირველ კატეგორიაში.

**შენიშვნა 2.** ამ მუხლში აღნიშნულ პირს, უკეთუ ის მოისურვებს, ნორმა შეევსება იმ რაიონში მდებარე თავისუფალ სათონდო მიწიდან და არა ტყიდან.

2) შიგ სოფლებში ან მათ ირგვლივ უბნაუბნათ მდებარე ტყეები, ბუჩქნარ ჩირგვნარ ჯაგნარები ნორმას ზევით ჩაირიცხება სათემო კუთვნილებათ საერთო სასარგებლოდ.

3) ქალაქის საზღვრებში მდებარე ტყე ქალაქს არ ჩამოერთმევა, თუნდაც ნორმას აღემატებოდეს.

4) სოფლის საზოგადოებათა და სოფლების იმ საკუთარ ტყეებიდან, რომელნიც მათი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, სახელმწიფოთ არის გამოცხადებული, აღნიშნული სოფლები ან სოფლის საზოგადოების მცხოვრებთ საჭირო ხე ტყის მასალა განსაზღვრულ ნორმით უფასოთ მიეცემა.

5) დეკრეტი ძალაში შედის დღიდან მისი მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ

გრ. ვეშაპელი (ნაციონალისტი) აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი დეკრეტი პირველი შესწორებაა აგრარული რეფორმისა, რომელიც ცხოვრებაში გატარდა ცხოვრების შეუსწავლელათ, მეცნიერული მასალების უქონლობით, ამიტომაც იყო, რომ ამ რეფორმამ ხალხში დიდ უკმაყოფილებას მოუმზადა ნიადაგი. ეს შესწორება დადებითი მოვლენაა და ჩვენ ვისურვებდით, რომ ყველა დანარჩენი შეუსაბამო მუხლების შესწორებაც მალე ყოფილიყოს შემოტანილი.

ი. ნუცუბიძე აცხადებს, რომ სოც.-რევოლიუციონერთა ფრაქციას მისაღებათ არ მიაჩნია წარმოდგენილი დეკრეტი, რადგანაც იქ ნაწილობრივათ დაცულია მსხვილ მემამულეთა ინტერესები.

დ. ონიაშვილი (ს. დ.) ტყის საკითხი დიდ და სერიოზულ საკითხათ მიაჩნია. ის მთელი რიგი საბუთებით ამტკიცებს ტყის დიდ მნიშვნელობას სახელმწიფოსათვის; ამავე დროს ხალხს უნდა ამ ტყით სარგებლობა, სახელმწიფოს კი ტყის დაცვა. საუკეთესო იქნებოდა ის ფორმულა, რომელიც შეადუღებდა ამ ორ ინტერესს. წარმოდგენილი დეკრეტით დაცულია, როგორც ხალხის ისე სახელმწიფოს ინტერესები და ის მიღებულ უნდა იქნასო.

თ. ღლონტი (ს. ფ.) ამ დეკრეტით ტყეს მიიღებენ თავად-აზნაურები და მსხვილი მემამულეები, გლეხებს ამით არაფერი არ შეეძინებათ. ჩვენ ყოველთვის მოვითხოვდით და ახლაც მოვითხოვთ, რომ მიწები შეადგენდეს საზოგადოების და სახელმწიფოს კუთვნილებას. ორატორი ანარქიის მიზეზათ სხვათა შორის ასახელებს აგრარულ რეფორმას და ამბობს, რომ სოციალიზაციის მიღებით უკეთ გადიჭრებოდა საკითხიო და ხალხში უკმაყოფილებას არ ექნებოდა ადგილი და მიწებსაც ყველა მიიღებდაო.

რ. არსენიძე. რასაკვირველია კარგი საქონელია დემაგოგია, განსაკუთრებით მაშინ, როცა მას სპეკულიატური მიზნით იყენებენ, როგორც ეს დღეს გამოიყენა ამ ტრიბუნიდან თ. ღლონტმა. მაგრამ ამას ადგილი აქ არ უნდა ქონდეს.

მისი სიტყვის მთავარი აზრი იყო, რომ ჩვენ ამ დეკრეტით მიწას ვაძლევთ თავად-აზნაურებს, მემამულეებს. ეს სრული სიყალბეა, სიყალბე სადემაგოგიო მიზნით ჩადენილი. (ს. დადიანი ადგილიდან: თქვენ სიყალბეს აკეთებთ და ჩვენ სიყალბის თქმის უფლებას მაინც არ გვაძლევთ?) ასეთი სიყალბე პასუხისმგებელმა პოლიტიკურმა მოღვაწემ ამ ტრიბუნიდან არ უნდა წარმოსთქვას, ხოლო თუ ფედერალისტები თხოულობენ სიყალბის უფლებას, მათ ამ უფლებას ჩვენ არ წავართმევთ, მხოლოდ აქ კი, ამის უფლებას არავის მივსცემთ. მე ვამტკიცებ, რომ ამ დეკრეტით არც ერთ აზნაურს ან თავადს მიწა არ მიემატება, თუ რომელიმე თავადი, ან აზნაური გამოჩნდა ისეთი, რომელსაც უნდა მიემატოს მიწა, ის არავითარი ლატიფუნდიის პატრონი არ ყოფილა და ვერც იქნება. შეიძლება გამოჩნდეს ისეთი პირი, რომელსაც ბევრი ტყე ქონდა და სახნავ-სათესი კი სულ არა. და როდესაც ეს ტყე უკვე ჩამოვართვით, ნუ თუ მას არ უნდა მიეცეს საშუალება, რომ თავისი შრომით ცოლშვილი არჩინოს? ნუ თუ მას არ უნდა მიეცეს ნორმა?—სად არის ბ. თქვენი ლოღიკა? ხომ ხედავთ, რომ ჩვენი ხალხი თქვენს სოციალიზაციას არ იკარებს? არც თქვენ მიიკარებთ, ბ. ღლონტო, (ს. ფედერალისტების სკამებიდან: ამ მიწის კანონმა თქვენ დაგამარცხათ!) მე მგონია, რომ დამფუძნებელ კრებაში ჩვენი უმრავლესობა ჩვენი დამარცხების შედეგი არ უნდა იყოს. ეს ყველასათვის აშკარაა, გარდა ფედერალისტებისა. ამასთან უნდა იცოდეთ, რომ დამფუძნებელი კრების არჩევნები მოხდა მაშინ, როდესაც ეს მიწის კანონი მიღებული იყო. ასე რომ, ჩვენთვის ამ კანონს არავითარი ზარალი არ მოუცია. შემდეგ ორატორი ამტკიცებს, რომ საჭიროა სოფლის მცხოვრებთ, რომლებიც თვითონ აშენებენ და უვლიან ტყეებს, მიეცეს მათ კუთვნილებათ. ეს არის აღმოსავლეთ საქართველოში.

აღმოსავლეთ საქართველოში კი მიწები ჩამორთმეულია, ყველას ნორმა მიცემული აქვს და ჩვენ არც ერთხელ არ დაგვპირებია და არც დაგვპირდება ნორმის ტყით მოთავება. იქ არც გლეხებს გადაეცემა ტყეები, იქ მხოლოდ გლეხებს უნდა მიეცეს უფლება ისარგებლონ სახელმწიფო ტყიდან ხეტყის მასალით, ფიჩხით უფასოთ ამას მოითხოვს ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესები. აქ არის თუ გნებავთ ერთგვარი კონსერვატიზმი, ამის თქმისა ჩვენ არ გვეშინია. საქმე იმაშია, რომ გლეხს უყვარს კერძო საკუთრება, მისი ფსიქოლოგია ამაზეა დაყრდნობილი და უცბათ არ შეიძლება ამ ფსიქოლოგიაში ტეხილი მოხდეს, ჩვენ საუკეთესოთ მიგვაჩნია შევეგუოთ ამ ფსიქოლოგიას. ამიტომაც იყო, რომ ჩვენ გლეხებს დაუთმეთ კერძო საკუთრებაში. ახლაც უთმობთ გლეხების ფსიქოლოგიას, ეს უდიდესი პოლიტიკური ნაბიჯია და მე იმედი მაქვს, რომ ჩვენ ამ ტრიბუნიდან მოვისმენთ განცხადებას, გლეხთა ფსიქოლოგიის მოჭარბების შესახებ. ორატორი ეხება იმას, თუ რა შედეგი მოიტანა რუსეთში გლეხების ფსიქოლოგიისადმი ანგარიშის გაუწევლობამ და ასკვნის, რომ ეს დეკრეტი მეტს სარგებლობას მოუტანს ჩვენს რესპუბლიკას, ჩვენს დემოკრატიას, ვინემ რამოდენიმე ათასი დესეტინა ტყე და ის მიღებულ უნდა იქნასო (ტაში).

სიგვიანის გამო კამათი შემდეგი სხდომისათვის გადაიდო.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

3 დეკემბერი.

### ფრანგული პრესის ცნობები

უმაღლეს საბჭოს სხდომაზე მოისმინეს ჟორჟ კლერკის მოხსენება, ბუდაპეშტში მის მიერ გაგზავნილ მისიის შესახებ. გადაწყვიტეს კარლ გუსარის მთავრობას მოსთხოვონ დელეგატების პარიჟში გამოგზავნა ჰუნგრეთსა და მოკავშირეთა შორის საზავო პირობების შესახებ მოსალაპარაკებლად. საბჭომ გადასწყვიტა აგრეთვე მოკავშირეთა წარმომადგენლებს სთხოვოს ესტონეთის მთავრობასთან მოლაპარაკება გამართოს, რათა იგი იუდენიჩს შეუთანხმდეს. და ბოლოს საბჭომ მიიღო საპასუხო ტექსტი გერმანიის უკანასკნელ ნოტაზე სამხედრო ტყვეების განთავისუფლების შესახებ.

რეინში ჰიდრო ელექტრიულ ტურბინებით მოახდინეს ცდა, რამაც მშვენიერი შედეგები მოიტანა. ეს გამოგონება მთელი ოლქის მრეწველობას საკმაო დიდ ენერგიას შემატებს, რაიც ნახშირის მოთხოვნილებას შეამცირებს.

ამ დღეებში მადრიდში მოხდა საერთაშორისო ყრილობა, რომელსაც მიზნათ ჰქონდა ხმელთა შუა ზღვის გამოკვლევა და კოორდინაცია ყველა მუშაობისა, რომელიც ამ საკითხის შესახებ დღემდის ყოფილა. საფრანგეთი, იტალია და ისპანია აგზავნიან გემებს ახალი გამოკვლევის დაწყებისათვის. რაც ხელს შეუწყობს ზღვის საუკეთესო შესწავლას გიბრალტარიდან დარდანელამდის.

მუნიციპალური არჩევნები მთელ საფრანგეთში მშვიდობიანათ ჩატარდა. პარიზში არჩევნების შედეგი საბოლოოდ გამოირკვა. აქ მდგომარეობა არ შეცვლილა. თუმცა 25 ხელახალ არჩევნებში 20 არა სოციალისტებმა მიიღეს: გაზეთები შემდეგს გადმოგვცემენ მუნიციპალური არჩევნების შესახებ: მთავარ ამომრჩეველთა ადგილებში (პარიზის, სენის დეპარტამენტის, ალდირის ელზას ლორენის გარდა) რაიონების რიცხვი—399. უადღემდის 319 რაიონის არჩევნების შედეგი გამოირკვა. გაერთიანებულმა სოციალისტებმა 5 რაიონში უმეტესობა მიიღეს, რესპუბლიკანელ სოციალისტებმა 5, რადიკალებმა და რადიკალ სოციალისტებმა 87. მემარცხენე რესპუბლიკანელებმა 79. პროგრესისტებმა 26. კონსერვატორებმა 15. მეორე მხრით პირველ არჩევნებს 104. მთავარ რაიონებში უმეტესობა არ მოუცია. არ არის გამორკვეული შედეგები კიდევ 40 ქალაქში. კონსერვატორებმა უმეტესობა 5. ახალი ადგილის მიიღეს, მაგრამ ძველი დაჰკარგეს 10. პროგრესისტებმა მიიღეს 10, დაჰკარგეს 6. მემარცხენე რესპუბლიკანელებმა 17,—დაჰკარგეს 12. რადიკალებმა და რადიკალ სოციალისტებმა—13, დაჰკარგეს 18. რესპუბლიკანელ სოციალისტებმა მიიღეს 2, დაჰკარგეს იმდენივე.

რუმინიის დეპუტატთა პალატის თავმჯდომარეთ აირჩიეს ალექსანდრე ვაიდა ვოევოდა.

რუმინიის პარლამენტმა ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატების პარლამენტს მადლობა გამოუცხადა რუმინიის ხალხის დახმარებისათვის.

### გერმანული პრესის ცნობები

ჟენევიდან მოსული ცნობის თანახმად „ბერლინერ ლოკალ ანცაიგერი" გვატყობინებს: პოლიტიკური მოღვაწენი, რომელთაც კარგათ იციან კლემანსოსა და ლოიდ ჯორჯის აზრი, გერმანიის წინადადებას, რომ ყოველგვარი უთანხმოება განხილული იქნეს ჰააგის საერთაშორისო მუდმივ სასამართლოს მიერ, ნაკლებ სარწმუნოდ სთვლიან. ამის შესახებ ვაშინგტონიდან არავითარი ავტორიტეტული ჩვენება არ არის.

ლოიდ ჯორჯმა ქვედა პალატაში განაცხადა, რომ საზავო ხელშეკრულობის რატიფიკაციის ვადა არ არის დაწესებული, რადგანაც გერმანიის მთავრობასთან დაჭერილ ოლქების მმართველობის საკითხში შეუთანხმებლობა არისო.

გერმანიის მოწინავე პრესა პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ დაამახინჯის მიზეზი გერმანიის ყოფა ქცევისა პარიზის საბოლოო ოქმის საკითხში. „ბერლინერ ტაგებლატი" განმარტავს: გერმანია რატიფიკაციისთვის მზათ არის, მაგრამ იგი თავს იცავს იმის გამო, რომ ოქმი სამხედრო ტყვეების განთავისუფლებისა და მოკავშირეთაგან ახალ მოთხოვნილება წამოყენების გარანტიას არ იძლევა. მოკავშირეებს ბევრ შესაძლებელ გარანტიას მისცემს გერმანია, მაგრამ ტყვეები თავდებათ არ უნდა იყვნენ დატოვებულნი.

გერმანული მეცნიერების წინააღმდეგ გაფიცვა, რომელიც მოკავშირეთა ზოგიერთ სახელმწიფოში არის, გერმანიის სამეცნიერო წრეებში წინააღმდეგ მოძრაობას იწვევს.

### იტალიური პრესის ცნობები

იტალიის და პოლონეთის მთავრობა ფიქრობს აღადგინოს საქონლის გაცვლა გამოცვლა.

ნიტტისთან საუბრის გამოქვეყნების შემდეგ იტალიის ფულის კურსი ამერიკის ბირჟაზე ძლიერ დაეცა.

ვენეზილოსი მეფემ მიიღო და საუზმეზე მიიპატიჟა.

სპეციაში მუშათა გაფიცვები მშვიდობიანად დასრულდა.

### ამერიკულ პრესის ცნობები.

(ლიონის რადიო სადგურიდან). ჩიკაგოდან იტყობინებიან: საქმესთან ახლო მყოფ წყაროებიდან გავიგეთ, რომ უმაღლესი საბჭო არ დაიხევს იმ პოზიციიდან, რომელიც მას ოქმის ხელის მოწერის საკითხში დაიჭირა და გერმანიისაგან დაჟინებით მოითხოვს ამ საბუთის ხელის მოწერას მისი რომელიმე მუხლის დაურღვევლად.

ავტორიტეტულ წყაროებიდან იუწყებიან: გერმანია ხელს მოაწერს ოქმს იმ შემთხვევაში, თუ მოკავშირეები მას დაჟინებით მოითხოვენ, მაგრამ გერმანია ცდილობს ჯერ ყველა დაარწმუნოს იმაში, რომ მას დამტკიცებული ოქმის მიღება არ ეჩქარება.

### ბოლშევიკური ცნობები.

**მოსკოვი.** დეკემბრის 2. სამხედრო ცნობა. დეკ. 2. ნარვის მიმართულებით არტილერია მოქმედებს. ფსკოვის რაიონში მზვერავთა მოქმედება. ბერდიჩევ ფასტოვის რაიონში ბრძოლა ცვალებადია, ჩვენი ჯარი მხნედ იბრძვის. კიევის რაიონში ჩვენ ქალაქი კოზელეცი ავიღეთ და სამხრეთისაკენ შეტევას განვაგრძობთ. ნეჟინის და ქალ. პრილუცკის სამხრეთით 40 ვერსზე ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს, რამოდენიმე სოფელი აიღო. ჩვენ ქალაქი სუმმი და მდ. პსიოლზე, ლებედინის ჩრდილოეთით სოფელი ავიღეთ. აღმოსავლეთით ჩვენი ნაწილი სად. გოტნიას დასავლეთით 15 ვერსზე რკ. გზის ხაზზე გამოვიდა. ბელგოროდის მიმართულებით ჩვენი შეტევა კარგად ვითარდება. ლისკის სამხრეთ-აღმოსავლეთით 20 ვერსზე ჩვენ მტრის იერიშები მოვიგერიეთ და შეტევას განვაგრძობთ. ნოვოხოპერის სამხრეთ დასავლეთით 45—50 ვერ. ჩვენ ბრძოლით ავიღეთ რამდენიმე სოფელი. კალაჩის რაიონში ჩვენ ვორონცოვკა მელოვაიას ხაზი დავიჭირეთ. დამატებითი ცნობებით ჩვენმა ცხენოსანმა რაზმმა კრიუშას რაიონში მტერი დაამარცხა. ბურაცკაია აკიშევსკაიას რაიონში ჩვენ ხოპრის მარჯვენა ნაპირზე გადმოვედით. უსტ ბუზულუკის რაიონში ჩვენმა ცხენოსანთა პოლკმა მტრის ორი როტა ტყვედ წამოიყვანა. ცარიცინის რაიონში დონსა და ვოლგას შუა ბრძოლა გრძელდება. სლავგოროდის მიმართულებით ჩვენ სადგ. კარასუკს ვუახლოვდებით. კაინსკის მიმართულებით, რკინის გზის სამხრეთით ჩვენი შეტევა ვითარდება. კაინსკის დასავლეთით, რკინის გზის სამხრეთით 20 ვერსზე ციმბირის მაგისტრალის ორივე მხარეზე ჩვენ სოფლები ავიღეთ. ჩრდილოეთით მდგომარეობა არ შეცვლილა.

**ტულა.** დეკ. 1. კავკასიიდან ჩამოსული გადმოგვცემს, რომ სტავროპოლის გუბერნიაში მწვანე არმიელები ათასობით იმალებიან, მაროზნოსთან ბრძოლის დროს მწვანე არმიის რაზმმა მტრის [illegible] ზარბაზანი და ტყვისმფრქვეველები [illegible] ხელში.

**ლიონი.** დეკემ. 1. ბრიუსელიდან მიღებულ ცნობებით ბელგიის სოციალისტურმა პარტიებმა მთავრობაში მონაწილეობის მიღებაზე თანხმობა განაცხადეს. მუშათა ყრილობამ, რომელიც ამ საგანზე იყო მოწვეული, გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა.

**ნაუენი.** დეკემ. 1. „ფორვერტსი" მოუწოდებს სოც. დემოკრატიულ პარტიის ყველა წევრებს, ქალაქის გვარდიაში ჩაეწერონ, ამ გვარდიაში მყოფ რეაქციონურ ელემენტებთან საბრძოლველად. გაზეთ „ფრეიჰეიტის" ცნობით ჰააზეზე თავდასხმა სამხედრო კონტრ-რევოლიუციონურმა ორგანიზაციამ მოახდინა. ამ ცნობის გამო სამხ. მინისტრი ნოსკეს განკარგულებით გაზეთი [illegible] დღით დაიხურა. ამის საპასუხოთ დამოუკიდებლებმა 30 კრება მოაწყვეს ბერლინში. პოლიცია შეეცადა კრებების დაშლას, რამაც ერთი დღის პოლიტიკური გაფიცვები გამოიწვია.

იაპონიის სატახტო ქალაქ ტოკიოში მიკადოს დაბადების დღეს, საგარეო საქმეთა სამინისტროში ყუმბარა შეაგდეს. დაწვრილებითი ცნობები არ მოსულა.

ქ. სპალატის მოკავშირეთა მრავალი გემები, მათ შორის ამერიკის გემებიც დარაჯობენ.

### მოხალისეთა ცნობები.

(ნიკოლაევის რადიო სადგურიდან). **დონის როსტოვი,** ნოემ. 30. ეკატერინოდარის ახლად არჩეულმა ქალაქის საბჭომ მისალმებითი დეპეშა გაუგზავნა დენიკინს.

სამხედრო ცნობა. 30 ნოემ. **ტაგანროგი.** ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარეობა უცვლელია. ცარიცინის რაიონში 16 ნოემბერს წითლების იერიშები უკუვაგდეთ, ბრძოლის შემდეგ მტერი დავამარცხეთ და ტყვეებიც წამოვიყვანეთ. ბალაშოვის მიმართულებით ტიხანის სამხრეთ დასავლეთით წითლებმა ჩვენი ჯარი შეავიწროვეს ამ რაიონში ჩვენ მტრის 123 მე პოლკი დავამარცხეთ, წამოვიყვანეთ 250 ტყვე. ვორონეჟის მიმართ. ბირიუჩის რაიონში წითლებმა სად. ალექსეევკა და სოფ. დმიტრიევკა აიღეს. კურსკის მიმართ. კოროჩის რაიონში ბრძოლაა.

ლგოვის რაიონში ჩვენ ქალ. სუმი დავსტოვეთ. ჩერნიგოვის მიმართ. კიევის რაიონში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. ფასტოვსა და კაზატინოს შუა ჩვენ მტრის ჯარი დავამარცხეთ, წამოვიყვანეთ ტყვეები, ხელში ჩავიგდეთ 12 ტყვიისმფრქვეველი და ჯავშნიანი მატარებელი. ჟიტომირის მიმართ. ჩვენი ჯარი ბერდიჩევის რაიონში იბრძვის. ვოლოჩისკის მიმართ. ჩვენი ჯარი ვოლოჩისკს მიუახლოვდა და პოლონელ ჯართან კავშირი აღადგინა.

# ახალი ამბები

— **კომპოზიტორ ნ. სულხანიშვილის გარდაცვალება.** გუშინ 10 ნახ. საათზე რკინის გზის საავადმყოფოში ფილტვების ანთებით გარდაიცვალა ცნობილი ქართველი კომპოზიტორი ნ. სულხანიშვილი.

— **მთავრობის თავმჯდომარემ** ნოე ჟორდანიამ შემდეგი წერილი გაუგზავნა თფილისის ქალაქის მოურავს: შემჩნეულია, რომ სახლის პატრონები ყალბ ცნობებს იძლევიან მდგმურების შესახებ იმ მიზნით, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის სავალდებულო დადგენილების ძალით ისინი გაძევებული იქნან და მათ შეძლება მიეცეთ განთავისუფლებული ბინები მომეტებულ ფასებში გააქირაონ. ამ ბოროტების წინააღმდეგ საჭიროთ მიმაჩნია დაუყონებლივ გამოაცხადოთ, რომ ყველა ხსენებულ დადგენილების ძალით განთავისუფლებულ ბინებს სათვალავში იღებს და მცხოვრებთა შორის დაანაწილებს ქალაქის გამგეობის საბინაო განყოფილება და რომ არც ერთ სახლის პატრონს ნება არა აქვს აღნიშნულ დადგენილების ძალით განთავისუფლებულ ბინის გაქირავების. ისე, როგორც არც ერთ მოქალაქეს არ შეუძლია მისი დაქირავება საბინაო განყოფილების ნებადაურთველად. ამასთანავე საჭიროა დასძინოთ, რომ აღნიშნული წესის დამრღვევი მოქალაქე სასტიკ პასუხის გებაში იქნება მიცემული.

— **გვარდიის დღისათვის.** ახლოვდება 12 დეკემბერი, მეორე წლის თავი ჩვენი სახელოვანი სახალხო გვარდიის დაარსებისა. ეს დღე ხომ საყოველთაო დღესასწაულად არის აღიარებული, მაგრამ მარტო უქმობა არ კმარა. ამ სამახსოვრო დღეს წელსაც უნდა მიეცეს სადღესასწაულო ხასიათი. თუ არ ისე დიდ ფარგლებში, როგორც ეს შარშან იყო, ყოველ შემთხვევაში, შეძლებისდაგვარად უნდა აღინიშნოს. ამისათვის მთავარ შტაბში შესდგა სადღესასწაულო კომისია, რომელმაც დაად-

განა მიენდოს თვით ადგილობრივ ორგანიზაციების ამხანაგებს, როგორც აქ თფილისში ისე პროვინციაში, ეს დღე აღნიშნონ შესაფერისად. გამართონ ლექციები, კრებები, წარმოდგენები და აუხსნან მასას ამ დღის, სახალხო გვარდიის მნიშვნელობა, სამსახური რესპუბლიკის და თავისუფლების წინაშე. ამიტომ საჭიროა ამხანაგები დროზე შეუდგნენ სადღესასწაულო სამზადისს.

კომისია.

✦ **კომერციული ურთიერთობა საქართველო ბულგარეთს შორის.** ბულგარეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენელმა ს. ნ. საპუჯიევმა მიმართა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის კომიტეტს წერილობითი წინადადებით, რათა საქართველოსა და ბულგარეთს შორის დამყარებულ იქნას კომერციული ურთიერთობა. საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის კომიტეტი სიამოვნებით შეეგება საპუნჯიევის წინადადებას და სთხოვა ბულგარეთის პალატის კომიტეტს ზემო აღნიშნულ მიზნის მისაწევად მიიღოს ყოველგვარი ზომები.

✦ **მიწის სამუშაო იარაღის შეძენა.** დამფ. კრების აგრარულმა კომისიამ დაადგინა მიმართოს ჩეხო სლოვაკებისა და პოლონეთის საწარმოვო კოოპერატივებს მოაწყონ საქართველოში მიწის დასამუშავებელი იარაღების შემოტანა.

✦ **ახალციხის მაზრაში გზების** გასაყვანათ საჭიროა ერთი ინჟინერი და ასეული საპიორთა რაზმისა.

✦ **მასწავლებელთა ძველი ჯამაგირები.** განათლების კომისიამ დაადასტურა განათლების მინისტრის პროექტი სახელმწიფო ხაზინიდან ნახევარ მილიონ მანეთის გადადების შესახებ, ზოგიერთ მასწავლებელთათვის 1918 და 1919 წლის მიუღებელ ჯამაგირების გასანაღდებლად.

✦ **ქართული სამუსიკო საზოგადოება.** დღეს სახალხო უნივერსიტეტში საღამოს 8 ს. გაიმართება კაპელას კონცერტი ქართულ სამუსიკო საზოგადოებისა და ამიერ-კავკ. კოოპერატივთა კავშირისა.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** დღეს, საღ. 6 ს., სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებებში დანიშნულია შემდეგი მორიგი ლექციები: 1 განყ. (ნაძალადევი) 1) ი. ანთაძე „საქართველოს ისტორია", 1) ირემაშვილი „ეკონომიური საკითხები". 3 განყოფ. (ჩუღურეთი) 1) ს. მესხი „სამშობლოს აღწერა", 2) ექ. ცეცხლაძე „საუბარი ჯანმრთელობაზე". 4 განყოფ. (ორთაჭალა) 1) შალამბერიძე „ქიმია", 2) კოტეტიშვილი „სოციოლოგია". ცენტრალური განყოფილება (პლეხანოვის პრ. სახ. № 123) 1) ეპ. ალშიბაია „ჩვენი ქვეყნის სიმდიდრენი", 2) სერ. ქორქოლიანი „ქართული მწერლობის ისტორია".

✦ **ხონში გაზეთების** გავრცელების საქმე განახლდა.. ყოველგვარი ჟურნალების და გაზეთების შეძენა შეიძლება დღიდან ზედ დაწერილ ფასებში კოოპერატივ „იმედში".

✦ **შეცდომის გასწორება.** გუშინ დელ ჩვენ გაზეთში „სასამართლოს" სათაურით მოთავსებულ ცნობაში კორნეტ დიმიტრი ჯორჯაძის დამცველთა რიცხვში შეცდომით არის მოხსენებული ნაფიცი ვექილი ნინიძე.

✦ **ფონდი.** მივიღეთ ს. კოდორის (სამტრედიის რაიონი) ს. ს. დ. მ. პ. ორგანიზაციისაგან 60 მანეთი განსვენებულ ამხ. მოსე გლახუას ძე ბერძენიშვილის ხსოვნის აღსანიშნავად.

✦ ალექსანდრა და სოფიო ადამის ასულებმა კაციაშვილებმა ერთის თვით გაზეთი „ერთობა" გაუწერეს სოფ. ქვემო გომის სამკითხველოს თავიანთ ძმის კოლა კაციაშვილის ხსოვნის აღსანიშნავად.

✦ **მ. კავხაძის** სახალხო გუნდს დამზადებული აქვს თფილისის სცენებზე დასადგმელათ სიმღერით და თამაშით— „ქართული ქორწილი სოფლათ". მსახიობ ვიქტორ გამყრელიძის რეჟისორობით, ელისაბედ ჩერქეზიშვილის და მთელი გუნდის მონაწილეობით ამ სცენებისათვის დამზადებულია ახალი გლეხური და სხვა ტანისამოსები.

✦ **„მეფუტკრის კალენდარი".** უკვე დაიბეჭდა ნახევარი წიგნისა—„მეფუტკრის კალენდარი ე. ბერტრანისა და მალე გამოვა გასაყიდად. საქართველოში მეფუტკრეობის განვითარებისთვის, ეს წიგნი დიდათ სასარგებლო იქნება. ის დაწერილია ჩვენი სამშობლოს გვარ ქვეყანაში—შვეიცარიაში. მეტად ზედ გამოჴრილი სახელმძღვანელო იქნება ამის თავდებია ავსტრიის დიდ სახელი მეფუტკრეობაში.

**კ რ ე ბ ე ბ ი.**

დღეს 4 დეკემბერს, საღამოს 5 ს. შესდგება ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლექტივის წევრთა კრება. (კახეთის ქ. № 1).

— მეოთხე რაიონის კოლექტივის ჩვეულებრივი კრება შესდგება დღეს 4 დეკემბერს.

— დღეს, საღამოს 6 ს. ბიუროს ბინაზე შესდგება საქართველოს ს. დ. მ. პ. მეორე რაიონული კოლექტივის წევრთა კრება.

— დღეს, საღამოს 5 საათზე, ბიუროს ბინაზე დანიშნულია საქ. ს. დ. მ. პ. მე 6 რაიონული კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა.

## სოლომონ იოსავას სენაკში

თქვენი მიმართვა როგორც რწმუნებულის ნოჯიხევის, ზანის და საჯიჯაოს საზოგადოებებისა პლათფორმის შესახებ მივიღე. ვინახულე რკინის გზის დეპარტამენტის დირექტორი ბ. ქიქინაძე, რომელმაც გადმომცა, რომ განკარგულება თქვენ მიერ ნათხოვნი პლათფორმის შესახებ უკვე მოხდენილია. საჭიროა მხოლოდ ადგილობრივ მუშაობა. ეს მუშაობა სოფლებს უკისრია და ახლა თქვენზეა დაჩქარება. როგორც კი მუშაობა ცოტათ თუ ბევრათ დაიწყება და შესაძლებელი იქნება მატარებლის გაჩერება, განკარგულება სისრულეში მოვა. ახლა კი ტიალ შინდორში მატარებლის გაჩერება ბ. დირექტორს შეუძლებლათ მიაჩნია.

დაჩქარება დამოკიდებულია ერთავად თქვენზე. შეუდექით მუშაობას და როგორც კი ცოტათი მოწესრიგდება საბაქანო მუშაობა, თქვენი სურვილი მაშინვე შესრულდება. ასეთი განკარგულება უკვე გაგზავნილია მაქაურ უფროსისადმი.

დამფ. კრების წევრი გრ. ურატაძე.

## მთავრობაში

**პაპის ლეგატის წერილი მთავრობის თავმჯდომარესადმი.**

27 ნოემბრის თარიღით მთავრობის თავმჯდომარემ შემდეგი წერილი მიიღო რომის პაპის ლეგატის ა. დელფუშესაგან.

„მის აღმატებულებას ბ-ნ ნოე ჟორდანიას, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის პრეზიდენტს.

ვსტოვებ რა ისეთ სტუმართ მოყვარე ქვეყანას, როგორიც არის საქართველო და ვბრუნდები რა რომში, ჩემი მისიის ანგარიშის ჩასაბარებლათ, ჩემს მოვალეობათ ვსთვლი მადლობა გამოვუცხადოთ იმ გულითად დახვედრისა და მგრძნობიერი ყურადღებისთვის, რომლის საგანიც გავხდი მე საქართველოს მთავრობის მხრივ.

თქვენი მშვენიერი ქვეყანა ყოველი მიმართულებით თითქმის მოვიარე.

აღტაცებაში მოვყავდი მის ლამაზ ადგილებს, მდიდარ და არაჩვეულებრივ მრავალფეროვან მის ბუნებას.

ყველგან მცხოვრებნი საუკეთესოთ მხვდებოდნენ; ყველგან ვგრძნობდი, თუ რა ძლიერი მამულიშვილური გრძნობითაა გამსჭვალული თქვენი ხალხი.

ჩემს მოვალეობათ ჩავთვლი რომის პაპს გადავსცე ყველა ის, რაც მე აქ ვიხილე და ვაცნობო ის ღრმა პატივისცემა და სიმპატიები, რომელსაც ფართეთ იჩენდენ აქ უწმიდეს მამისადმი.

ბატონო პრეზიდენტო, დარწმუნებული იყავით, რომ წმიდა მამა უაღრესათ მეგობრულათაა განწყობილი საქართველოსა და მის ხალხისადმი და უუმხურვალეს ლოცვას სწირავს ღმერთს საქართველოს კეთილშობილ ზრახვათა და კანონიერ მისწრაფებათა განსახორციელებლათ.

ბატონო პრეზიდენტო! კეთილ ინებეთ ლოცვებთან ერთად, რომელსაც მე ვწირავ უფალს თქვენთვის, მიიღოთ ღრმა პატივისცემის გრძნობა, რომლითაც მე ვშთები.

თქვენი აღმატებულების ერთგული მსახური სამოციქულო ვიზიტიორი ა. დელფუშე.

## გამოთხოვება

მე არ დავრჩები, არ დავრჩები, წავალ, დაგტოვებ.
თვით შენ მოითხოვე განშორებას, ჩემო ყვავილო,
შენს ტურფა სახეს კვლავ დავხედო, ვიცი მადროვებ
და მეც გშორდები, მხოლოდ მისთვის, რომ კვლავ გიხილო!

ფიქრი ფერადი მარად ღელვას დავუკავშირე,
უჭკნობ ყვავილათ ამოვსახე შენი არსება,
მზიურ ყოფნისთვის ზღვას მივენდე, არ გავიწირე,
დამდნარ ღელვაში—სჩანს ნაპირი—გემი დარჩება!..

მშვიდობით, ჩემო თაიგულო, ტურფა სამყარო,
მაღალო მთანო, მდინარენო, მწვანე ველებო,
განშორებისას მინდა, კარგო კოცნით დაგფარო,
მისთვის წავიდე—დამცემ მტრისთვის რისხვა ვეძებო!

ლამაზ ბრძანებას შევასრულებ, მივდივარ, გტოვებ
ლამაზ თაიგულს რა მოგელის, სამშობლოვ ჩემო,
იცოცხლებ მარად... დავბრუნდები და ვიმედოვნებ
ახალ ძახილით გადავწმინდო შენი გარემო...

ძლევის ყვავილით დავბრუნდები, მოგესალმები,
მოგესალმები სიყვარულით უფრო დამთბარი;
გმირულ სიმღერის დაიფრქვევა შენს მკერდზე ხმები,
და შენს გარემოს გააშუქებს ყოფნის ლამპარი!..

და შენს კვარცხლბეკზე ჩამოხმება ჩვენი ორგული,
ჩვენ გავიზრდებით, ჩემო კარგო მზიურ ღელვაში,
მისთვის გშორდები—ვპოვო უკეთ მძლე სიყვარული
არავინ დავწვათ—ჩვენ ვიცოცხლოთ მარად ქებაში!..

მშვიდობით ჩემო თაიგულო, ტურფა სამყარო,
მაღალო მთანო, მტინარენო, მწვანე ველებო,
გშორდებით მისთვის—განახლებულ კოცნით დაგფარო
და სასიცოცხლო შენს სალხენათ სხივი ვეძებო!..

გელა.

## უცხოეთი

**ი ტ ა ლ ი ა**

**იტალია და ამიერ კავკასიის რესპუბლიკები.** გაზეთ „კორიერე დელა სერის" 23 ნოემბრის ნომერში მოთავსებულია ინტერვიუ კომერსანტ კორსისთან, რომელიც ყოფილა ადერბეიჯანში და საქართველოში და ნოემბერში დაბრუნებულა იტალიაში. გაზეთის თანამშრომლის შეკითხვა, თუ როგორია პოლიტიკური მდგომარეობა ამ ქვეყნებისა, გორსის უპასუხებს: რომ ორივე რესპუბლიკები ელიან, რომ პარიზის კონფერენცია იცნობს მათ დამოუკიდებლობას. უნდა ვუსურვოთ, რომ მათი დამოუკიდებლობა დადასტურებულ იქნას; იქ ხალხს ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი დამოუკიდებლობის იდეა, და სიცოცხლესაც შესწირავენ ამ დამოუკიდებლობის დაცვას; ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს გენ. დენიკინის ჯარი, რომელმაც უკვე დაარღვია არსებული შეთანხმება საზღვრების შესახებ. თუ დენიკინი თავს დაესხმის ამ რესპუბლიკებს, მაშინ შესაძლებელია უკანასკნელნი ბოლშევიკებს შეუერთდენ და ისე დაიცვან თავი დენიკინისაგან. ორივე რესპუბლიკები ამ ჟამად ბოლშევიზმს ეწინააღმდეგებიან. გენ. დენიკინმა უნდა ხელი აიღოს ამ ხალხების მიმართ აგრესიულ მოქმედებიდან, როდესაც რუსეთი აღდგენილ იქნება, მაშინ შესაძლებელია დღის წესრიგში დაისვას კითხვა რუსეთის და ამიერ კავკასიის რესპუბლიკების ურთიერთობის შესახებ. გორსი იმედს გამოსთქვამს, რომ იტალია აღმოუჩენს დახმარებას ორივე რესპუბლიკებს, რომლებიც დიდი სიმპატიით უყურებენ იტალიას. ინგლისს თავისი ჯარები გაყავს კავკასიიდან და იტალია კარგს იზამდა, რომ ინგლისელების ჯარები თავისი ჯარებით შეეცვალა. სამწუხაროთ, ჩვენი მთავრობა იძულებული იყო უარი ეთქვა თავის პირვანდელ გეგმაზე ჯარების გაგზავნის შესახებ. თანამშრომლის შეკითხვაზე: თუ როგორია შინაური მდგომარეობა — გორსიმ განაცხადა, რომ ინგლისელებმა ჯარები გაიყვანეს კავკასიიდან, მხოლოდ ბათუმის ოლქი არის მათ ხელში. არ იქნება მოულოდნელი, რომ ინგლისელები კვლავ დაუბრუნდენ ბაქოს, რათა მათ ხელში იყოს კასპიის ზღვაც. ხმები დადის, რომ ამერიკელები აპირებენ კავკასიაში ჩამოსვლას და სომხეთის მანდატის მიღებას. ამერიკისთვის არ იქნება ხელსაყრელი ბაქოს ნავთის მრეწველობის განვითარება, ეს მის ინტერესებს ეწინააღმდეგება. პოლიტიკური თვალსაზრისით არ შეიძლიან დაუშვა ის აზრი, რომ კავკასიის რესპუბლიკებს სურდეთ ამერიკის კონტროლ ქვეშ ყოფნა, როგორც ეს სურს სომხეთს. აღსანიშნავია ის, რომ ინგლისელების ჯარების ევაკუაციის შემდეგაც ამიერკავკასიის რესპუბლიკებში წესრიგი სუფევს. ეს ამტკიცებს, რომ საქართველოსა და ადერბეიჯანს შესწევთ ძალა დამოუკიდებლათ არსებობისა.

გორსი შეეხო აგრეთვე იმ სარგებლობას, რომელიც შეუძლიან იტალიამ მიიღოს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებთან ეკონომიურ კავშირის დაჭერით. კავკასია მოწყვეტილ იყო ევროპას, მხოლოდ რუსეთი სარგებლობდა მისი ნედლი მასალით. კავკასიას სურს შექნას თავისი საკუთარი ბაზარი, რომელიც დამოუკიდებელი იქნება რუსეთიდან და იტალიას ესაჭიროება ის ნედლი მასალა, რომელიც კავკასიაში ბლომად მოიპოვება და სამაგიეროდ მისცემს კავკასიას ისეთ ნაწარმოებს, რომელიც მას ესაჭიროება. ჩვენ შეგვიძლია, კავკასიას მივცეთ კაპიტალი, მანქანები, ტეხნიკურად მომზადებული პირნი, ხელოსნები და სხვა. ამ რესპუბლიკის ეკონომიური პოლიტიკა რეალურ საფუძველებს ემყარება და უცხოელების ინტერესები არ იქნება შელახული, რადგანაც ეს გამომდინარეობს მათ საარსებო ინტერესებიდან, რაიც შეგნებული აქვთ ამ სახელმწიფოთა ხელმძღვანელებს.

**ი ნ გ ლ ი ს ი.**

**სახელმწიფოს ვალი.** როგორც იუწყება ინგლისური გაზეთი „ტაიმ" ინგლისის თემთა პალატის მუშაობის ცენტრალური კითხვა ფინანსიური კითხვის მოგვარებაა. პირველ რიგში დგას შემოდგომის ბიუჯეტის შედგენა და სამხედრო მოგებაზე გადასახადის შემოღება. თუ რამდენად სერიოზულია ინგლისში ფინანსიური მდგომარეობა ამას გვიჩვენებს შემდეგი ციფრები: გასავალი (11 ოქტ.) უდრიდა 794,682,669 გირ. სტერ. შემოსავალი—482,681,978 დეფიციტი—312,200,691 გირ. სტერ. სახელმწიფოთა ვალი—(დაახლოვებით) 8,000,000,000 გირ. სტ.

**ს ო მ ხ ე თ ი.**

**ბრძოლა სპეკულიაციასა და ხაზაჟის** უწესრიგობასთან. ფინანსთა მინისტრის წინადადების თანახმად 2—3 კვირაა შედგენილია საქართველოს საზღვრებზე სადარაჯო რაზმი. არდაგანის და ყაზახის საზღვრების გასამაგრებლათ გადიდებულ იქნა დარაჯთა რიცხვი. იმედია, რომ ახლო ხანში სრულიად მოსპობა საქონლის საიდუმლოთ გატანა სპეკულიანტების მიერ. საზღვრის სადარაჯო რაზმმა დააკავა ამას წინად დიდძალი პირუტყვი, მატყლი, ელექტრომოტორები და სხვა საქონელი რამდენიმე მილიონისა. ამ საქმეზე დაპატიმრებულ იქნენ მილიციონერები, რომლებსაც მონაწილეობა მიუღიათ კონტრაბანდის გატანაში. ისინი სასამართლოს გადაეცემიან. ჩამორთმეული საქონელი გადადის სახელმწიფოს სასარგებლოთ. ფინანსთა სამინისტროს შუამდგომლობით საქონლის დამჭერთ უნდა გადაეცეს ჯილდოთ 50 პროცენტი. შესაფერი კანონ-პროექტი უკვე შეტანილია პარლამენტში. სადგურ კალაგერანის საბაჟოს მოსამსახურეთა ნახევარზე მეტი დათხოვნილ იქნენ სამსახურიდან. („აშხატ.").

**ა ვ ს ტ რ ი ა.**

**კონსტიტუციის პროექტი.** გაზ. „ტრიბუნა" ს ცნობით 16 ოქტომ. ავსტრიის მთავრობას დამფუძნებელ კრებაში კაკონ პროექტი შეუტანია, რომლის თანახმადაც ს.-ჟერმენის ხელშეკრულებაში ჩამოთვლილი ნემეცური ქვეყნები კავშირდებიან ავსტრიის რესპუბლიკაში. რესპუბლიკაში ძალა უფლება ხალხს ეკუთვნის. სახელმწიფო ენათ გამოცხადებულია ნემეცური; ამასთანავე ფართე უფლებებით სარგებლობს მცირე ერების ენა. გაუქმებულია კანონი, რომელიც ავსტრიის გერმანიის ნაწილათ დატოვებას მოითხოვდა.

## ფოსტა-ტელეგრაფში

ამა წლის 28 ნოემბერს ერთის მხრით საქართველოსა და მეორეს მხრის ბათუმის ოლქში მყოფ ბრიტანეთის სარდლობის შორის დადებულ ხელშეკრულობის თანახმად პირველ მიმდინარე დეკემბრიდან განახლდა ტელეგრაფით ურთიერთობა საქართველოსა, სამხრეთ რუსეთსა, ევროპის დასავლეთ ქვეყნებსა, ამერიკის შეერთებულ შტატებსა, სამხრეთ ამერიკასა და აზიის ზოგიერთ სახელმწიფოთა შორის შემდეგის სატრანზიტო ნიხრის გადახდევინებით გარდა არსებულ ნიხრისა (1 მან. 50 კაპ. სიტყვა), რომელიც არის დადებული ბათუმის ოლქში მიმართულ დეპეშებზე.

ა.

სამხრეთ-რუსეთში 4 მან. სიტყვა. ინგლისში 25 მან. საფრანგეთში 21 მან. იტალიაში 12 მან. რუმინიაში 15 მან. შეერთებულ შტატებში 117 მან. ნიუიორკში 83 მან. სამხრეთ ამერიკაში 34 მან. მალაიში 104 მან. გოლანდიაში 29 მან. ვლადივასტოკში 152 მან. შვეიცარიაში 16 მან. შვეციაში 62 მან. ოსმალეთში 9 მან. დანიაში 20 მანეთი. საბერძნეთში 15 მან. გიბრალტარში 15 მალტაში 25 მანეთი. ეგვიპტეში 52 მან. ჩინეთში 129 მან. ინდოეთში 65 მან. იაპონიაში 143 მან. ავსტრალიაში 111 მან. კანადაში 131 მან. საქართველოს, ან სრულიად კავკასიის ფულის ნიშნებით.

ბ.

სასწრაფო დეპეშებში გადახდებათ ფასი სამჯერ მეტი უბრალო დეპეშებისა.

1919 წლის 2 დეკემბრიდან დაწესდა ფულის ბარათების გაცვლა-გამოცვლა საქართველოსა და ბათუმის ოლქის ფოსტა ტელეგრაფის დაწესებულებათა შორის (ბათუმი, ქობულეთი, ჩაქვა და და ართვინი).

საქართველოს მთავრობისა და ბრიტანეთის სარდლობის შორის დადებულ ხელშეკრულების თანახმად ბათუმის ოლქის დაწესებულებებში მიიღება განსაკუთრებით ქართული ან ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნები და ამავე ნიშნებით მოხდება ბათუმის ოლქში ფულის ბარათების განაღდება.

ფულის გადაგზავნისათვის დაწესებულია შემდეგი ნიხრი: ფოსტით გადასაგზავნი ფასი ორი მანეთი ყოველ ას მანეთზე, ან ასი მანეთის ნაწილზე, ხოლო ტელეგრაფით გადაგზავნისათვის გარდა ზემო დასახელებულისა 500-მდე ოცსიტყვიანი დეპეშის ფასი და 500 მან. 5000 მდე 25 სიტყვიანი დეპეშისა. ერთის პირისაგან და ერთის მიმღების სახელზე გასაგზავნი თანხა განსაზღვრული არ არის, ხოლო ერთი ბლანკით გაიგზავნება არა უმეტეს 5000 მანეთისა.

სამმართველოს უფროსი მგელაძე.

## ნ. ჩხეიძის იუბილე

დეკემბრის 1 ს შესდგა პირველი სხდომა ნ. ჩხეიძის იუბილეს მომწყობი კომიტეტისა, რომელზედაც არჩეულ იქნა პრეზიდიუმი: თავჯდომარედ ი. ბარათაშვილი. თავჯდომარის ამხანაგებად: პ. ქავთარაძე და ალ. გაჩეჩილაძე. მდივნად გ. ყიფშიძე.

იუბილე გაიმართება კვირას, დეკემბრის 21 სახელმწიფო თეატრში.

სადღესასწაულო პროგრამის სქემატიურად შემუშავება დაევალა პრეზიდიუმს ალ. წუწუნავას თანამშრომლობით.

საიუბილეო კომიტეტმა სასურველად აღიარა გამოიცეს იუბილიარის პატივსაცემლად სათანადო დასურათებული წიგნაკი ხალხში გასავრცელებლად, რომელშიაც მოთავსებული იქნება იუბილიარი სურათები სხვა და სხვა როლებში. მოკლე ბიოგრაფიული ცნობანი და მისი შემოქმედების დახასიათება. წიგნაკის შედგენა მიენდობა მწერალთა მცირე კომისიას.

ყოველგვარი ცნობების მიღება სწარმოებს საიუბილეო კომიტეტის ბინაზედ სახელმწიფო თეატრის კაბინეტში კომიტეტის მორიგ წევრთან ან თეატრის დირექტორთან.

## შავი ზღვის გლეხების დელეგატთა ყრილობა

შავი ზღვის გუბერნიის გლეხებმა მხოლოდ 18 ნოემბერს შესძლეს ყრილობის მოწვევა. დაესწრნენ დელეგატები სოჭის ოლქის ყველა სოფლებიდან, ტუაფსეს ოლქის რამოდენიმე სოფლიდან და ნოვოროსიის 3 რაიონიდან; წარმოდგენილი იყო 40,000 გლეხი.

ყრილობა 2 დღე გაგრძელდა. არჩეულ იქნა „განმათავისუფლებელი კომიტეტი", რომელსაც დაევალა რაზმების მოწყობა მოხალისეთა ბატონობისაგან განსათავისუფლებლათ, აღსანიშნავია ის ერთსულოვნება, რომელსაც ყრილობა იჩენდა საკითხების გარჩევის დროს; ჯერ ბოლშევიკების, შემდეგ მოხალისეთა ბატონობამ გლეხები დაარწმუნა, რომ მათი ხსნა შეუძლია მხოლოდ დემოკრატიულ მთავრობას, რომელიც მათ მიერ არჩეული და მათი სურვილების გამომხატველი იქნება.

შავი ზღვის გუბერნიის გლეხობამ თავიდანვე შეურიგებელი პოზიცია დაიკავა მოხალისეთა ჯარების მიმართ. უკმაყოფილებას იწვევდა გლეხებში მობილიზაცია და ბეგარა ნატურით, რაც დენიკინელებმა შესვლისთანავე შემოიღეს. ერთ-ერთ ყრილობაზე გლეხებმა განაჩენი გამოიტანეს, რომელშიაც ხმამაღლა აცხადებენ, რომ ისინი არ წავლენ ქართულ და ბოლშევიკურ ფრონტებზე და ამჯობინებენ თავიანთ ქოხებთან დახოცვას. გლეხებმა აირჩიეს სახალხო შტაბი, რომელსაც დაევალა რაზმების მოწყობა და დენიკინელებთან, ანუ, როგორც ისინი უწოდებდნენ—„კადეტებთან" ბრძოლა.

ხდებოდა მრავალი შეტაკებები გლეხთა რაზმებისა და მოხალისეთა შორის, რომლებიც უფრო ხშირათ უკანასკნელთა დამარცხებით თავდებოდა. იგზავნებოდა დამსჯელი რაზმები, მაგრამ მოხალისეთა სარდლობა მალე დარწმუნდა, რომ აჯანყებულ გლეხების სახით მას სერიოზული მოწინააღმდეგე ჰყავდა, სარდლობამ მოლაპარაკება გამართა გლეხებთან და აღუთქვა მათ: მოძრაობაში მონაწილეთა სრული ამნისტია, მობილიზაციის მოხსნა და მოწვევა გლეხთა წარმომადგენლების ყრილობისა. მაგრამ, რასაკვირველია, სარდლობამ თავისი დანაპირები არც ერთი არ შეასრულა და გლეხებმაც იწყეს დამოუკიდებელი მოქმედება; მათ გადასწყვიტეს გლეხთა ყრილობის მოწვევა. არჩეულ იქნა საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც 19 აგვისტოს სოჭ[illegible] ცოვკაში უნდა მოეწვია ყრილობა. ყრილობა მოხალისეთა დამსჯელმა რაზმმა გარეკა. 18 აგვისტოს [illegible] მოახერხეს [illegible] კერძო თათბირზე გამოტანილ იქნა შემდეგი განაჩენი: [illegible] დებიან დენიკინელებს და ყოველ წუთში მზათ არიან მათ შეებრძოლონ; რათა თავიდან აცილებული ყოფილიყო ზედმეტი სისხლის ღვრა, თათბირმა გადასწყვიტა ორგანიზაციული ხასიათი მიეცა მოძრაობისათვის და აირჩია აღმასრულებელი ორგანო, რომელსაც დაევალა: 1) შეაკავშიროს გლეხები დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლველათ და 2) გამართოს მოლაპარაკება ყუბანთან შეერთების შესახებ, მხოლოდ იმ პირობით, რომ ყუბანი ყოველგვარ კავშირს გასწყვეტდა დენიკინთან.

ამის შემდეგ დაიწყო მოლაპარაკება სოჩის ოლქის სომხებთან იმ მიზნით, რათა მათაც მონაწილეობა მიეღოთ გლეხთა მოძრაობაში და დელეგატები გაეგზავნათ ყრილობაზე. სომხეთა ეროვნულმა საბჭომ დაახლოვებით შემდეგი განაცხადა: გლეხებს არ შეუძლიათ დენიკინს გაუმკლავდენ; ამიტომ საბჭო ვერ მიიღებს გლეხთა წინადადებას. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დენიკინსა და გლეხებს შორის ბრძოლა გამართება,— სომხეთა საბჭო „პატიოსან სიტყვას" იძლევა, რომ ნეიტრალიტეტს დაიცავს; იმ შემთხვევაში კი, თუ ქართველები თავს დაესხმიან დენიკინს,—საბჭო აქტიურათ დაეხმარება დენიკინს. ამ განცხადებაზე გლეხებმა უპასუხეს, რომ არავითარ ნეიტრალიტეტს ალაგი არ უნდა ჰქონდეს: სომხები ან დენიკინთან უნდა იქნენ, ან გლეხებთან; ნეიტრალიტეტი ღალატის ჩაცემა იქნებოდა მოძრაობისათვის. შემდეგ მოლაპარაკება გაიმართა თვით სომეხ გლეხებთან, რომელთა მისწრაფებებს თითქოს საბჭო გამოხატავდა და გამოირკვა, რომ სომეხი გლეხები თანაგრძნობით ეკიდებიან გლეხთა მოძრაობას.

გლეხები არ ემორჩილებიან სარდლობის ბრძანებებს, რომელიც გლეხების ჯარში გაწვევას მოითხოვდა. ბოლოს სამხედრო ბეგარის მომხდელ ჰასაკის ახალგაზრდებმა იწყეს ტყეებში და მთებში გახიზვნა, სადაც ისინი აღგენდენ რაზმებს. ამრიგად ეწყობოდა „ზელიონაია არმია" (მწვანე ჯარი), რომელიც დღესაც განაგრძობს დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლას.

„არმია" ს აქვს სათანადო ორგანიზაცია, მაგრამ აკლია იარაღი და ტანისამოსი. უკანასკნელ გარემოებამ გამოიწვია ზოგი არმიელების ზამთრის პირად ჯარიდან წასვლა და ამის გამო რაზმები ამ ხანად ძალზე შემცირებულია.

გლეხთა ყრილობის მოწვევა ამ რიგად მხოლოდ 18 ნოემბერს მოხერხდა. ყრილობაზე არჩეული „განმათავისუფლებელი კომიტეტი" ენერგიულ მუშაობას ეწევა ყრილობის დავალებათა ცხოვრებაში გასატარებლად. კომიტეტმა ზომები მიიღო, რათა გააცნოს ევროპისა და ამერიკის საზოგადოებას ის საშინელება, რასაც შავი ზღვის გუბერნიის გლეხობა განიცდის.

შავი ზღვის გუბერნიის გლეხებს იმედი არ დაუკარგავთ, რომ ისინი შესძლებენ თავიანთ მიზნების განხორციელებას. მათ სწამთ, რომ მთელი რუსეთის გლეხობა შეუერთდება მათ ლოზუნგებს: „ძირს სამოქალაქო ომი, ძირს დიქტატურა (ბოლშევიკური იყოს იგი, გინდ დენიკინისა)"!

## რესპუბლიკის საერობო აგრონომების ყრილობა

12 დეკემბრისთვის მოწვეულია ერობათა კავშირის მიერ საერობო აგრონომების ყრილობა, რომლის დასრულების შემდეგ, ე. ი. 15 დეკემბერს გაიხსნება სრულიად საქართველოს აგრონომიულ დახმარების მოღვაწეთა ყრილობა.

ორივე ყრილობებს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისთვის, სადაც თითქმის 80 პროც. მცხოვრებლებისა მისდევენ მეურნეობას და ცხადია, ყრილობის ნამუშავარი ღრმა კვალს დასტოვებს მომავალ აგრონომიულ დახმარების მოწყობის საქმეში.

ამ ჟამად მე შევეხები პირველ ყრილობას, რომელსაც აქვს თავისი სპეციალური დანიშნულება და მიზანი, რის გამო ორივ ყრილობა არ იქმნა შეერთებული. რუსეთში საერობო აგრონომიამ დიდი ხანია ფეხი მოიკიდა (1887 წლიდან) და ზოგიერთ ერობებმა უხვნური აგრონომიული დახმარებაც კი შემოიღეს.

ჩვენში კი, საერობო აგრონომიას სულ რამდენიმე თვის ისტორია აქვს, თუ არ ჩავთვლით ვარანცოვ-დაშკოვის დროს შემოღებულ ეგრედ წოდებულ „საერობო აგრონომიულ ორგანიზაციის". ნამდვილი საფუძველი მას მხოლოდ დღეს ეყრება; თუ ზოგიერთ ერობებში აგრონომიული დახმარება ფაქტია, ზოგგან მისი მოწყობა სხვადასხვა მიზეზის გამო დღემდე ფერხდება.

მაგრამ რით უნდა ვიხელმძღვანელოთ, როცა ერობა ამისთანა დიდ საქმეს ჰკიდებს ხელს, როგორც მეურნეობის განვითარება (გაუმჯობესება), აგრონომიულ ცოდნის გავრცელება და საზოგადოდ სხვადასხვა ეკონომიური ღონისძიების გამონახვაა დღეს დღიურ წესრიგში დაყენებული ცხოვრების მიერ.

რა ურთიერთობა იქნება აგრონომიულ დახმარების მოწყობის საქმეში მიწად მოქმედების და ერობათა შორის? როგორი იქნება, რა პრინციპებზე აშენებული მომავალი საერობო აგრონომიის მუშაობა და რა მდგომარეობაშია დღეს აგრონომიული დახმარების საქმე სხვადასხვა მაზრაში. ყველა ეს კითხვები უნდა იქნეს გაშუქებული ყრილობაზე და შესაფერისი პასუხია საჭირო მათ გადასაწყვეტად.

ჩვენ ვიცით, რომ ამ საკითხებს თვითეული ერობა თავისებურად სჭრის და არ არსებობს ერთი გზა, ერთი მიმართულება ამ მეტად მნიშვნელოვან დარგში. საქმე დიდად მოიგებს, თუ ზოგიერთი საკითხი გადაწყდა შეთანხმებით და საქმე გაკეთდა შეერთებული ძალით. ასეთი საკითხები, როგორიცაა სამეურნეო წიგნების გამოცემა, სათესლე მასალის, ხელოვნური პატივის, სამეურნეო იარაღის შოვნა და შეძენა, ჰავის და ნიადაგის გამოკვლევა, საცდელი სადგურების ორგანიზაცია, მავნე მწერებთან ბრძოლა და კიდევ სხვა ითხოულობენ შეკავშირებას, ყველა ერობების ერთათ მოქმედებას და ცალკე გამოსვლა, როგორც ეხლა აქვს ადგილი, საქმისთვის მავნებელია. ზემოდ მოყვანილ საქმეებს სრულიად ვერ ვაკისრებთ მიწ. მოქ. სამინისტროს, რადგან მას არც ძალა შესწევს, არც თანხები და ეს დიდი საქმეები შეუძლიან მხოლოდ იკისრონ ერობებმა.

ცხადია ეს საქმეები უნდა მიენდოს ერობათა კავშირთან დაარსებულ ახალ ორგანიზაციას და ეს აგრონომიული ცენტრი დაუყონებლივ უნდა დაარსდეს. ეს არის ერთი უმთავრესი საკითხი მომავალი ყრილობისა. იგივე ცენტრი იკისრებს სამეურნეო ჟურნალის გამოცემას, რომელიც დიდ დახმარებას გაუწევს აგრონომიულ პერსონალს და მეურნეებს თავის მუშაობაში. ამავე ყრილობაზე იქნება განხილული აგრონომების პროფესიონალური საჭიროებანი. აი მოკლეთ ის პროგრამა, რომელიც უნდა ამოსწუროს აგრონომიულმა ყრილობამ 12—15 დეკემბერს.

მოვაგონებთ ამხანაგებს, რომ მოხსენება უნდა წარმოდგენილ იყოს 6 დეკემბრამდე.

ყრილობაზე წაკითხულ იქნება შემდეგი მოხსენებანი: 1) მოხსენება ადგილიდან; 2) აგრ. ლომოური. არსებული აგრონომიული დახმარება მაზრებში და ურთიერთობა მიწ. მოქ. სამინისტროს და ერობათა შორის ამ საკითხში; 3) აგრ. სამადაშვილი. უმთავრესი პრინციპები აგრონომიულ დახმარებისა; 4) გ. ნიჟარაძე. ფუნდური აგრონომიული დახმარება; 5) დ. გორთამაშვილი. სამეურნეო ცოდნათა გავრცელება სკოლის გარეშე; 6) აგრ. ოქრომჭედლიძე. საერობო აგრონომის მონაწილეობა კოოპერატივებში, აგრარულ რეფორმის გატარებაში და სხ., 7) ი. ქურდიანი. აგრონომიულ ცენტრის შექმნა; 8) ე. ხიზანიშვილი. ხეხილების და ვენახების წამლობის მოწყობა რესპუბლიკაში; 9) ნ. ყაურაშვილი. მესაქონლეობის მდგომარეობა საქართველოში; 10) აგრ. ხოშტარია. სამეურნეო მანქანების დამზადება; 11) პროფესიონალური კავშირის შესახებ და სხვა საკითხები, წაკითხული იქნება სხვა მოხსენებანიც.

ი. ქურდიანი.

## გერმანიის ტყვეობაში გარდაცვლილნი

1) პაიჭაძე პ. ქუთაისის გუბ. გარდ. 16 მარტს, 15 წ. მარხია სილვის ბანაკში.

2) ნიკობაძე ისიდორე. გარდაიცვალა 26 თებერვალს 1919 წ. მარხია იქვე.

3) მარკალაშვილი ივანე, თფილისის გუბ. გარდ. 24 სექტემბერს, მარხია მერც დორფში.

4) ჩიტიაშვილი ლაზარე, თფილისის გუბერ. გარდ. 5 ნოემბერს 1916 წ. მარხია მერც დორფში.

5) ჯაგიშვილი გრიგოლ, ქუთაისის გუბ. გარდ. 18 ოქტომბერს 1917 წ. მარხია მერც დორფში.

6) ჯავაშვილი ივანე, თფილისის გუბ. გარდ. 5 აპრილს 1918 წ. მარხია მერც დორფში.

7) კაბრაიძე გიორგი, თფილისის გუბ. გარდ. 30 აპრილს 1919 წ. მარხია გოტინგენში.

8) მინაშვილი სარდიონ, თფილისის გუბ. გარდ. 13 მაისს 1918 წ. მარხია შტრალზუნდში (პრუსია).

9) ტყილაშვილი, თფილისის გუბ. გარდ. 5 ოქტომბერს 1918 წ. მარხია ვიტენში.

10) ელიაშვილი მიხეილ, თფილისის გუბ., გარდაიცვალა 16 სექტემბერს 1918 წ. მარხია მერცდორფში.

11) აბაზაძე გრიგოლ, სურამელი, გარდაიცვალა 26 სექტემბერს 1918 წ. მარხია მერცდორფში.

12) ხოჩილავა ფილიპე, კვათანელი, გარდ. 29 სექტემბერს 1918 წ. მარხია მერცდორფში.

13) ჩიაევი დავითი, ქუთაისის გუბ. გარდ. 20 ოქტომბერს 1918 წ. მარხია სელნივაში.

14) გუდავაშვილი გრიგოლ, თფილისელი. გარდ. 19 ოქტომბერს 1918 წ. მარხია ბურვალდში.

15) ჩიტოვლიძე მაქსიმე, თფილისელი, გარდ. 19 ნოემბერს 1918 წ. მარხია ბიურსტენფელდში.

16) გობილია ლუკა, ქუთაისის გუბ. გარდაიცვალა 3 ნოემბერს 1918 წ. მარხია ბერლინში.

17) მოსანიშვილი სტეფანე, თფილისის გუბ. გარდ. 1 ნოემბერს 1918 წ. მარხია მერცდორფში.

18) ბაბუნაშვილი პოლიკარპე, თფილისის გუბ. გარდ. 21 ნოემბერს 1918 წ. მარხია არსვანდლში.

19) თევზაძე ალექსი, თფილისის გუბ. გარდ. 26 თებერვალს 1919 წ. მარხია მერცდორფში.

20) აბაბული გრიგოლი, გომბორელი, გარდ. 13 მარტს 1919 წ. მარხია მერცდორფში.

21) კუბანეიშვილი სელივანი, ქუთაისის გუბ. გარდ. 29 მარტს 1919 წ. მარხია მერც დორფში.

22) ვოკრაბელიშვილი ვლადიმერ, კარისხეველი, გარდ. 17 აპრილს 1919 წ. მარხია მერც დორფში.

23) კარტოზია მიხეილ, ქუთაისელი, გარდ. 10 ივნისს 1918 წ. მარხია მერცდორფში.

24) ჩუკაშვილი ვ. იანეთელი, გარდაიცვალა 30 აპრილს 1919 წ. მარხია მერც დორფში.

25) მანაშვილი ივანე, თფილისის გუბერნია, გარდაიცვალა 15 ივლისს 1919 წ. მარხია მერც დოროში.

ამ სიას ამოწმებს ბეჭდის დასმით და ხელის მოწერით კოტბუსის სამხედრო ტყვეთა ლაზარეთის მმართველი.

## საშა ჩიხლაძე

15 ნოემბერს, გორის მაზრაში, ატენის ხეობაში ანარქიის ჩაქრობის დროს გმირულად დაეცა ჩვენში კარგად ცნობილი მუშა ამხ. საშა ჩიხლაძე.

საშა თავდადებულად იბრძოდა რევოლიუციის და დემოკრატიულ რესპუბლიკის დასაცავად. საშას სახით ატენის ხეობამ დაჰკარგა ერთი საუკეთესო ხელმძღვანელთაგანი, მაგრამ ბრავითარ ამისთანა მსხვერპლის წინაშე არ შევსდგებით, სანამ რესპუბლიკა გაწმენდილი არ იქნება მავნე, მოღალატე ელემენტებისაგან.

სიცოცხლეში გიყვარდა მოხუცი მასწავლებელი სანდრო კეცხოველი, ეხლა მის გვერდით მოისვენე ძმათა სასაფლაოზე და შენს მისწრაფებებს ჩვენ სისხლით დავიცავთ.

ატენის გვარდიის მონდობილობით

იასონ ჩიხლაძე.

## ს.-დ. პარტიაში

ს. შუხუთი 19 ნოემ. ს. შუხუთში მოხდა ს. ს. დ. მ. პ. რაიონის წევრთა კრება. კრებას დაესწრო დიდი უმრავლესობა პარტიულ ამხანაგებისა. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ნ. იმნაიშვილი, მდივნათ ლ. კვაჭაძე. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება გურიის კომიტეტიდან 2) გვარდიის შედგენა 3) გვარდიის დღის მოწყობა, 4) კოოპერატივის საკითხი და 5) არჩევნები კომიტეტის და კოლექტივის წევრებისა.

გურიის კომიტეტიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. ნ. იმნაიშვილი, რომელმაც ვრცლათ გააცნო ამხანაგებს, თუ რა გაუკეთებია გურიის კომიტეტს და რა ზომები აქვს მიღებული პარტიული მუშაობის გასაძლიერებლათ. კრებამ მოხსენება მოისმინა, საკამათო გამოყო ორი საკითხი და დანარჩენი დაამტკიცა.

2) გვარდიის შედგენის შესახებ კრებამ აირჩია 5 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც ევალება აირჩიონ ამხანაგებში გვარდიისთვის სავარგისი პირები და ასეთებიდგან შეადგინონ მუდმივი და სარეზერვო გვარდია. კომისიის წევრათ აირჩიეს სანდრო, ნიკიტა და დავით იმნაიშვილები, ივანე ორაგველიძე და შერმანდი დოლიძე

3) გვარდიის დღის სასურველათ მოწყობა და ჩატარება კრებამ მიანდო ახლად არჩეულ კოლექტივის წევრებს.

4) კოოპერატივის თემის ხელში გადასვლის შესახებ კრებამ იმსჯელა და დაადგინა: თანახმათ სათემოს დადგენილებისა ჩვენი რაიონის ორივე კოოპერატივები გადავიდეს თემის ხელში 30 ნოემბრიდან. კრება შემდეგ შეუდგა არჩევნებს. გურიის კომიტეტის წევრათ არჩეულ იქნა ნ. იმნაიშვილი. კოლექტივის წევრადღ: ნიკიტა, დიომიდე, დავით, პლატონ იმნაიშვილები, ზოსიმე ფირცხალაიშვილი, გიორგი ლომიძე, ივანე ორაგველიძე, ნოე და ივანე აფხაზები, მიხაკო ჩხეიძე და შერმანდი დოლიძე.

კანდიდატებათ: ალექსანდრე იმნაიშვილი, ნიტიფორე ჩხაიძე და ნატაშა ორაგველიძე.

შუხუთელი.

## მუშათა შორის

სად. ნავთლუღი. შევჩერდებით სამ უმთავრეს და აუცილებელ საჭიროებაზე: სკოლა, მუშათა კლუბი და მუშა-მოსამსახურეთა ბინების საჭიროება, როგორც წარსულში, ისე მომავალშიაც მოსალოდნელია დარჩეს ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა, ჩვენ მაინც იმედს არ ვკარგავთ და თუმცა გვიან, მაგრამ მაინც გვჯერა, რომ ჯეროვან ყურადღებას მიაქცევენ ვისაც ჯერ არს.

დავიწყოთ სკოლიდან. აქ არსებობს პირველ დაწყებითი ორ კლასიანი სასწავლებელი. ეს სკოლა მოშორებულია სადგურიდან დაახლოვებით 2 ვერსით, გორაკ ადგილია, მუდმივ ქარია და სკოლაში როცა შეიხართ ვერც კი წარმოიდგენის გიფარავს რამე ქარ სიცივიდან თუ არა, წვიმების დროს გზა სრულიად არ არის და მუხლებამდე ტალახია. ამის შემდეგ ლაპარაკი იმაზე, რომ ასეთი სკოლა ვერ მოგვცემს ჯანსაღ მომავალ თაობას, ზედმეტია. რაც შეეხება მათ მასწავლებლებს, რომლებიც თფილისიდან დადიან სად-გონების პატრონ კაცს არ შეუძლია რაიმე მოს თხოვოს, რადგან მათი დიდი დრო სკოლაში მისვლის შემდეგ გათბობა-გაშრობაში და თავისი მდგომარეობის წყევლა-კრულვაში იკარგება.

ეხლა ავიღოთ ამ სადგურის მუშა-მოსამსახურეთა ბინები. სადგურში ითვლება 600 კაცამდე მუშა-მოსამსახურე და არის მხოლოდ ერთი სახლი, რომელშიაც რამდენიმე ათეული მოსამსახურეა მოთავსებული. დანარჩენი კი ცხოვრობენ თფილისში ან კიდევ სოფელში. ამ მხრით 8 საათის სამუშაოზე ლაპარაკი მეტია, რადგან გზაში დაკარგულ დროს] ადმინისტრაცია მუშაობაში ვერ ჩაუთვლის. არის მეორე შემთხვევაც როცა რკ. გზის ადმინისტრაცია იძულებულია ჩაუთვალოს დრო. ეს არის მატარებლების დაგვიანება და კიდევ მრავალი საპატიო მიზეზები. ასე რომ ზარალობს მუშა-მოსამსახურეები, ზარალობს თვით გზა და რაც საყურადღებოა, ზარალობს და ილუპება თვით მუშათა ორგანიზაცია, რომელიც ცდილობს შეაკავშიროს ყველანი, მაგრამ ისინი მატარებლისკენ იცქირებიან რომ ღამე მორიგეობის შემდეგ ქუჩაში არ დარჩეს და იძულებულია კრებას ან ლექციას სრულიად თავი მიანებოს. გადავიდეთ მესამეზე და ფრიად მნიშვნელოვან საკითხზე. ეს არის მუშა მოსამსახურეთა კლუბი. თუმცა შე 2 ე რკ. გზელების მეორე ყრილობაზე იყო ნათქვამი, რომ ნავთლუღში უკვე დავაარსეთ მუშათა კლუბიო, მაგრამ ეს შეიძლება მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფი იყოს და სინამდვილეში კი მზგავსიც არაფერი არსებობს. ნავთლუღის რაიონში ითვლება 1904 მუშა-მოსამსახურე და ნავთლუღი როგორც ცენტრი მოვალეა იყოს მისი რაიონის ლამპარი და როგორც ასეთმა ე. ი. ნავთლუღის რაიონულმა გამგეობამ კიდეც გადადგა 29 ნოემბერს ერთი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომ ყველა ზემონაჩვენები ნაკლების უზრუნველსაყოფათ თხოულობენ სად. ნავთლუღში ყოფილ სამხედრო სასურსათო პუნქტის შენობებს, სადაც ერთ ერთ ნაჩვენებ შენობაში მოთავსებულია რაიონული შტაბი და სხვები კი ცარიელებია, რის საშუამდგომლოდ ამორჩეულია ორი ამხანაგი: ნესტორ იმნაიშვილი და ივანე ცომაია. ჩვენ არ ვიცით რამდენად შესძლებენ დასახელებული ამხანაგები თავის მისიის შესრულებას, რადგან ნავთლუღის რაიონზე ყურადღების მიქცევა, ცოდვათ მიაჩნიათ. თუ ეხლა მაინც გასწორდება წარსული შეცდომები კიდევ არ არის გვიანი. მოუხერხებელი არაფერია და ნაჩვენები შენობები სრულიად საკმარისია სამივე აუცილებელ საჭიროებისთვის და უმნიშვნელო ხარჯების გაღებითაც საქმე დაგვირგვინდება.

ვუსურვებთ კომისიას დიდი მოვალეობის სისრულეში მოყვანას.

ნეგრი.

## პროვინცია

**ლეჩხუმის სამაზრო ერობის ხმოსანთა მესამე ყრილობა.**

27 ოქტომბერს დ. ცაგერში მოხდა ლეჩხუმის სამაზრო ერობის ხმოსანთა მესამე ყრილობა. განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: 1) მომენტზე, 2) ერობათა ყრილობაზე, 3) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 4) გამგეობის მოქმედებაზე, 5) სათემო თვითმართველობა, 6) გადასახადებზე, 7) სასურსათო საკითხზე, 8) სატყეო, 9) ზედა სვანეთი, 10) მოსამართლეებზე, 11) გამგეობის წევრები, 12) რევიზიაზე.

პირველი საკითხის შესახებ ყრილობამ დაადგინა: მესამე არაჩვეულებრივი ყრილობა სავსებით იზიარებს მთავრობის პოლიტიკას და მზათაა მხარი დაუჭიროს მას, აგრეთვე ცხოვრებაში კანონების გატარებასა და რესპუბლიკის განმტკიცებას ყოველ მხივ ხელს შეუწყობს.

დღის წესრიგში შეტანილ საკითხებზე ყრილობამ დაადგინა:

2) ყრილობამ მოისმინა რა მოხსენება ერობათა ყრილობის მუშაობის შესახებ, ღებულობს ყრილობის მიერ მიღებულ მთავარ დებულებებს და გადადის მორიგ საკითხებზე.

3) ყრილობა იწონებს ერობის გამგეობის მუშაობას და გამოსთქვამს სურვილს, რომ კომისიის მიერ აღნიშნული დეფექტები მომავალში სავსებით ამოწურული იყოს გამგეობის სწორი და ნაყოფიერი მუშაობით.

4) რაც შეიძლება დაჩქარებით იქნას მიღებული ზომები სასწავლებელთა შენობების შესაკეთებლად. მასწავლებელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მიღებულ იქნა, რომ იმ მასწავლებლებს, რომელსაც უმსახურია 5 წელზე ნაკლები მიეცეს—თვეში 1000 მან. პირველ სექტემბრიდან და ვისაც ხუთი წელი ან მეტი იმას კი იმავე დროიდან 1200 მანეთი.

ეთხოვოს მთავრობას, რათა ლეჩხუმის ერობას მიეცეს 200,000 მანეთი უპროცენტო სესხათ, ანარქიის დროს განადგურებულ მაზრაში არსებულ სახალხო სკოლათა შენობების შესაკეთებლად.

მაზრაში დაარსდეს ერთი საავათმყოფო მაინც, ამასთან ერთად გამოწვეულ იქნეს „დეზინფექტორები“ და 2) ავათმყოფობის გასინჯვა ადგილობრივ ხდებოდეს უფასოთ, ექიმის გაწვევა კი ფასით, რომლის განსაზღვრა მიენდოს ერობის გამგეობას.

ყრილობა იწონებს მუშაობას სადგილ-მამულო რეფორმის ირგვლივ და ავალებს გამგეობას, რომ მან მეჯითი ხელმძღვანელობა გაუწიოს განმანაწილებელ კომისიას მიწების სამართლიანათ განაწილების საქმეში.

ყრილობა ავალებს გამგეობას—მიღებულ იქნას ზომები ფოსტა-ტელეგრაფის ქონების დასაცავად. ეთხოვოს მთავრობას, რომ ორბელის გზის გასაკეთებლათ მიღებულ იქნას საჭირო თანხა და ეს გზა მთავრობამ მიიღოს თავის განკარგულებაში. 2) სვანეთში წინადადება მიეცეს ხალხს, რომ ის შეუდგეს გზების შეკეთებას, გამგეობამ კი მიაწოდოს საჭირო სამუშაო იარაღები. 3) ამ გვარადვე უნდა მიმართოს გამგეობამ სხვა საზოგადოებებსაც და თუ ხალხი ნებით არ მოისურვებს გზების შეკეთებას, მაშინ გამგეობამ უნდა იხმაროს იძულებითი ზომები კანონის ფარგლებში.

მოსამართლეებათ ყრილობამ ფარული კენჭის ყრით აირჩია მანასე მ. პეიშვილი და არსენ ვ. მეავანაძე, რომელთაც დაევალათ დამტკიცებამდე შეუდგენ თანამდებობის ასრულებას. ხმოსანთა ყრილობა მწუხარებით აღნიშნავს იმ ძალ-მომრეობას, რომელსაც ადგილი ქონია ადმინისტრაციის მხრივ ლეჩხუმში. ამასთანავე ყრილობა ავალებს გამგეობას, რომ ის პირები, რომელთაც ასეთი ბოროტმოქმედება ჩაუდენიათ, სასამართლოში გადასცენ დასასჯელათ. ხმოსანთა ყრილობა კი ვალად იდებს ადმინისტრაციას გაუწიოს ყოველგვარი დახმარება ამა თუ იმ ბოროტ მოქმედების აღმოჩენაში.

მიემატოს მილიციის წევრებს ჯამაგირი იმაზე, რომელსაც ისინი ეხლა ღებულობენ და ჯამაგირის განსაზღვრა მიენდოს გამგეობას.

სტატისტიკის შესახებ მოხსენებას აკეთებს ი. ლ. ხონელიძე, რომელიც აღნიშნავს, რომ სტატისტიკაზე საჭირო მასალები უკვე დაგროვილია და წლის ბოლოს ვაპირებთ სათანადო წიგნაკის გამოცემასო. ყრილობა ავალებს გამგეობას, რომ მან შეიმუშაოს ის მასალა, რომელიც მას ხელთ აქვს და გამოუშვას წიგნაკი სტატისტიკურ ცნობებით. დადგენილ იქნა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სასოფლო მეურნეობას და დაჩქარებით მოწვეულ იქნეს აგრონომი.

5) ყოველგვარი ზომები იქნეს მიღებული, რომ მაზრიდან არავითარი სურსათი მის საზღვარ გარეთ არ გავიდეს. ცართლეულობის შესაძენათ ყრილობა ადგენს იხმაროს ზნეობრივი გავლენა ხალხზე, რომ მოგროვილი იქნეს და შეტანილი უმთავრესი მომარაგების კომიტეტის დეპოზიტში ის თანხა, რომელიც საჭიროა მილიონათ ღირებულ ფართლეულობის შესაძენათ. 3) ლალა ერთი მეათედი მოსავლისა, რომელიც სიფონდო მიწებიდან შემოვა დარჩეს თავით მაზრაში და მიეცეს ხალხს საშუალება მისი შეღავათიან პირობებში შეძენისა.

6) წარმოდგენილ წვრილ სათემო თვითმართველობის არჩევნებს, როგორც კანონიერად წარმოებულს ყრილობა ამტკიცებს და ადგენს დაუყოვნებლივ მოეწყოს იმათი ორგანოები,

7) ყოველგვარი ზომები იქნეს მიღებული გადასახადების დაუყოვნებლივ ასაკრეფათ. ყრილობა ავალებს გამგეობას ფონდის მიწების საკითხის გამორკვევას, გაშუქებას და საერთოდ ისეთი მოქმედებების წარმოებას გადასახადთა საკითხში, როგორსაც მოითხოვს ჩვენი რესპუბლიკის ინტერესები. ყრილობა ავალებს გამგეობას, რათა მან შუამდგომლობა აღძრას მთავრობის წინაშე, რომ ხალხის სურსათ-სანოვაგის მხრით მოუსავლობის გამო უზრუნველსაყოფათ გამოაღებინოს მთავრობას უპროცენტო სესხათ 3 მილ. მანეთი.

დღიურ წესრიგში დასმულ საკითხების ამოწურვის შემდეგ ყრილობამ მოისმინა დამფუძნებელ კრების წევრის თ. ჭელიძის მოხსენება დამფუძნებელი კრების მუშაობაზე და გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „ყრილობა იღებს რა ყველაფერს მოხსენებულს საყურადღებოთ, იწონებს მთავრობის პოლიტიკას და ფიცსა სდებს, რომ ის ყოველთვის, მთელი თავისი ძალ ღონით მზათ იქნება მხარი დაუჭიროს მას მუშაობაში და შეეცადოს განმტკიცებას მოპოვებულ თავისუფლებისას.

X.

## ფოსტა

**აჭყური.** ფ. ტ. უფროსს. თქვენ რედაქციისა გმართებთ 50 მან.

**ხაჯევახო.** ა. ქორიძეს. ჯარისკაცის დაკარგვის „ცნობას“ უფასოდ დავბეჭდავთ.

**ჰიათურა.** ნიკო ბრეგვაძეს. საზგლო ვიარო განცხადება არ მიგვიღია. მივიღეთ 50 მანეთი, გვაცნობეთ რა დანიშნულება მივცეთ ამ ფულს.

**ახალციხე.** ივანე ხმალაძეს. მივიღეთ 1158 მანეთი, გვაცნობეთ მისი დანიშნულება.

**აბაშა.** ფარნა მიქაძეს. მივიღეთ 50 მანეთი, გვაცნობეთ მისი დანიშნულება.

**ქუთაისი.** ივანე გაფრინდაშვილს. მივიღეთ 60 მანეთი, გვაცნობეთ მისი დანიშნულება.

## განცხადებანი


**იყიდება**

შემთხვევით 80 კვ. საჟ. **მიწა** ვაკეზე, სემინარიის ახლოს. საჭირო ცნობებისათვის მიმართეთ: არმიანსკი ტუპიკში, № 10. (3133—6—2)

**ოზურგეთში** ექიმი ს. პ. აბაშიძე მიიღებს ავადმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და წელების. ჰლექის ექიმობა „ტუბერკულინით“ და „ფოსფაციდით“, ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914“ და „606“ შეშხაპუნებით, ქ. სიამაიშვილის სახლში. (კუპ. 582)

ექიმი ნ. დ. ტურაბელიძე
იღებს შინაგან, საბებიო და ქალურ სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დღის 1—2 და საღ. 4—5, გარდა ოთხშაბათის და შაბათისა, რომელ დღეებშიაც იღებს მხოლოდ დილის 8—9. მისამართი: ნიკოლოზის ქ. № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლოს. (თ.—3023)

ექიმი ა. დ. [illegible]
სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606“ და „914“, მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6 ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნოვ.-ბირჟევაია“ № 116. ტელ. 14—28

ექიმი დ. მ. ჯაგარიშვილი.
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. (საავათმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—2662.)

**სამკურნალო**
(კავკ. წით. ჯვ. [illegible]) ჩერქეზ. ქ. № 14, ალექსანდრის ბაღთ. გვერ. ავადმყოფ. მიიღება ექიმ [illegible] მიერ ყოველ დღე 9—2 საათამდე.
ვ. ხანაძე 9—12. შინ. ვენერ. სიფილ.
ფ. ფეხნერი 10—11, საბავშ. შინაგ. სნ.
ი. ტერ-ოგაკიმოვი 12—1. ვენერ. სიფილ.
ი. ბოკერია 10—11. ხირურგ. ქალთა სნეულ. და საბებიო
ი. ტერ-გრიგორიანცი 1—2. შინაგ. საბავ.
ტ. განეუმოვი 11—12. ქალთა საბებ.
„606“ და „914“ ყოველ დღე.
რჩევა 10 მ. ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი ვ. გ. ხანაძე.
(2937—თ.)

ექიმი კ. ტუშმალაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიულ, სიფილ. (914 და 606) კანი, მიხაილოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე ფოსტის ახლოს. საღამოს 5—7 საათამდე. (2925)

ექიმი მ. ა. [illegible]
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“. ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფები მიიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. [illegible]. მისამართი: [illegible] ქუჩა № 33.

ექიმი დ. ა. ხარაძე.
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 37. ავჭალის ლაბორატორიის ახლო.

ექიმი ქალი რ. მ. [illegible]
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ელინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას ხმარობს წამლობა (606—914) დილის 10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. პლეხანოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—26.

ექიმი ქალი ე. ხ. ბებურიშვილი.
ღებულობს ავადმყოფებს შინაგან, ქალთა და ბებიობის ნაწილებში დილით 10—12 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: იზმაილოვის ქუჩა № 28. (თ. 3065).

ექიმი ა. [illegible]
შინაგანი ავათმყოფობანი. ყოველმხრივე გამოკვლევა და ფიზიკური მეთოდებით ექიმობს გულის, ფილტვების, კუჭის და ჰაჭების ავათმყოფობათ. რენტგენის სხივები. კრილოვის ქ. სახლი № 5 გონიელოვისა, ბინა № 3. მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 4—8 საათამდე. (თ. 2642)

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**
(ვაგზლის ქ. შიხინოვის აფთიაქის გვერდით, ტელ. 6—95)
ექ. არგუთინსკი შინაგ. და საბავ. ყოველ დღე 10—11 ნახ.
ექ. ვართანოვი—ვენერ. და კანის სნ. ყოველდღე 1—2.
ექ. ბოკერია ქირურგ. ქალთა სნეულ. და საბებიო ყოველ დღე 10—11.
ექ. ქალი იოსელიანი ქალთა სნეულ. საბავ. ხუთშ. და შაბ. 11—12.
ექ. კლდიაშვილი შინაგ. და საბავ. ყოველ დღე 1—3.
ექ. ტუშურიანცი შინაგანი სნ. ყოველ დღე 11 ნახ—1.
რჩევა 10 მ., კონსულტაცია 50 მან. ოპერაცია შეთანხმებით. „606“ და „914“.
(2930—თ.)

ექიმი ბ. ი. მირიანაშვილი.
შინაგანი სნეულებანი. მიღება საღამოს 5—7 საათამდე, მისამართი ანდრეევის ქუჩა № 74, ბინა № 1 ვაგზლის აფთიაქის ახლო. (2849—თ.)

ექიმი [illegible]
იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავადმყოფს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, (ზემელის აფთიაქის ახლოს). (2795—თ.)

ქალ. ხამტრედიაში
ექიმი ი. ი. პეიშვილი იღებს განსაკუთრებით სიფილისით (წამლ. „606“ და „914“) ვენერიულ (ტრიპერი და მათი შედეგები) და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ. მისამართი: ილიას ქუჩა, ტელეფონი 35. (2950—თ.)

**ფრიად საჭიროა**
**მიხეილ პავსაძის** სახალხო მომღერალ-მგალობელთა გუნდისთვის ქულაჯები, გლეხური, გურული (ჩაქურა) და ჩერქეზული ტანისამოსი. მისამართი: ვორონცოვთან (ყოფ. „ბო-მონდი“), სამშაბათობით და პარასკეობით საღ. 5—8 ს. (3177—1—1)

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების
**მთავარ სამმართველო**
ამით აცხადებს, რომ სურამის ფსიქიატრიულ აბალშენში შეიძლება მიღებულ იქნას დაწესებულ ფასით ხუთი ავათმყოფი (მამაკაცი). დაწვრილებით პირობების გაგება შეიძლება წითელი ჯვრის კანცელარიაში (26 მაისის ქუჩა საბებიო ინსტიტუტის შენობაში) და ქ. სურამში ფსიქიატრიულ აბალშენის უფროს ექიმთან. (2901—14—18)